

I. M. I.

სწავლა-მეცნიერება

პუნქტისა და გრადისა

ფრანკისკ იაკობის ძე გოკიელის  
მიერ.

ვსწირავ ლარიბების სასაჩვებლოდ

თფილის

მსწრაფლმშეჭდავი არ. „ნადიზდა“ სემცნოვის ქ. № 4.

1909



I. M. I.

სწავლა-მეცნიერება

ძუნების, და გნეობის,

30 532

ფრანკისკ იაკობის ძე გოვიელის  
მიერ.



თფილისი

მსწარაფლმბეჭდავი არხ. „ნაზავდა“ სემენოვის ქ. № 4.

1909

როგორც ვარსკვლავთ მრიცხველურ მიცნიე-  
რება ამტკიცებს, ჩვენი დედამიწა კვერცხივით მრგვა-  
ლია და ტრიალებს ჰაერში ე. ი. დაცურავს ეთერ-  
ში \*), როგორც ღრუბლები, ანუ უფრო ემსგავ-  
სება: ზღვაში მიმცურავ გემს.

დედამიწა ტრიალობს თავის ღერძზე ოც-და-  
თხ საათის განმავლობაში და იმავე დროს გარე-  
შემო უვლის მზეს ალნიშნულ წრეზე, ანუ ელიპ-  
სით და სჭირდება მას ავ მანძილის გასარბენად სა-  
მას-საცოცდა-ხუთი ლე და ლამე \*\*)

ეს ემსგავსება ბავშვების ბზრიალას, რომელ  
საც ატრიალებენ ინთებულ სანთლის გარშემო.  
როდესაც ბზრიალი თავის გარშემო ტრიალებსე, ის

\*) ეთერი არის ძლიერი თხელი თვისების მატე-  
რია, რომლითაც მთელი ქართვის გაფლენილია და  
მასში დაცურავს: ჩვენი დედამიწა, მზე, მთვარე, კა-  
ველი პლანეტები და ვარსკვლავნა.

\*\*) ჩვენი წელიწადი დამყარებულია დედამიწის  
ერთგზალი შემთვაზე მზეს გარშემო; სოდაც დე და  
დამე დედამიწის ერთგზალი შემთრიალებზე — თავის  
დერძზე.

ხან ერთს გვერდს მიაქცევს სინათლეს და ხან მეორეს; ხან ერთი მხარე განათლდება ბზრიალისა, ხან მეორე. ერთ მხარეს რომ დღე იქმნება, მეორე მხარეს — ლამე.

დედამიწაც არა: მინამ დედამიწა მზის გარეშემო ერთჯერ შემოუვლიდეს, ის სამას სამოცდახუთჯერ თავის-თვის შემოტრიალდება და ამნდენ. ჯერვე მზეს ხან ერთ გვერდს მიაქცევს და ხან მეორეს. ამნაირი მისი მოძრაობით ჩვენ გვვინია, რომ მზე და პლანეტები ჩვენ თავს დაგვტრიალდენ, ხოლო დედამიწა დგას. ვისაც უმგზავრია ორთქლმატარებელით, ის კარგად შეამჩნევდა, რომ თითქოს: მინდვრები, ტყეები, ბუჩქები, მთები და წყლის ნაპირები მირბიან და ორთქლმატარებელიკი ვითომც დგას. მაგრამ ეს ასე როდია, ამას მხედველობა გვატყუებს. ნამდვილათ კი დედმიწა მიცურავს ჰაერში სისწრაფით ოთხმოცდა-ცხრამეტიათას ვერს საათში; მზე და ცი კი გაჩერებული არიან.

დედამიწა დაზომილია და აღმოჩნდა ხმელეთი ასთორმეტი მილიონი კვადრატი ვერსი; წყალი კი არც სამას-ოცდა ჩვიდმეტი მილიონი. ე. ი. დედამიწის გარეშემო თვეულება ორმოცდა-ექვსიათას შვიდას-სამოცდა-თერთმეტი დესეტინა.

დედამიწას რომ სარტყელი შემოავლოდ და-სჭირდებოდა სიგრძით ოცდა-ჩვიდმეტი ათასი ვერსისა, იგი იყოფება ხუთ ნაწილად: ევროპა, აზია, აფრიკა, ამერიკა და ავსტრიალია.

დედამიწის ზურგზე ცხოვრობენ ათას-ხუთას-  
შილიონი კაცი და ქალი; ლაპარაკობენ ოთხას ორ-  
მოცდა-ათ სხვა და სხვა ენაზე. სარწმუნოებრივ  
შემდეგია: კათოლიკები ირიცხებიან (227) ორას-  
ოცდა-შვიდი მილიონი, ბერძნების სარწმუნოებისა  
(93) ოთხმოცდა-ცამეტი მილიონი, პროტესტანტე-  
ბი (161) ას-სამოცდა-ერთი მილიონი, სომხები გრი-  
გორიანები (8) ოვა მილიონი, უჩიები (7) შვიდი  
მილიონი, მაკმადის სჯულისა (170) ას-სამოცდა-  
ათი მილიონი და კერპთაყვანისმცემელნი (834)  
რვაას. ოცდა-თოთხმეტი მილიონი. დედამიწას აქვს  
ბევრი ანდამატი (მაგნიტი) რომლის ძალით იკრავს  
თავის ზურგზე: შენობებს, კაცს, პირუტყვს, ხეხი-  
ლებს და სხვას.

ვარსკვლავთ მჭვრეტელებმა კარგდ გამოიძი-  
უს დურბინზის შემწეობით, რომელსაც „ტელესკო-  
პი“ ჰქვია და აღმოჩეინეს, რომ ზეცაში ბევრი პლა-  
ნეტებია, რომელნიც ჩვენ დედამიწას ძალიან ემ-  
სგავსებიან. მაგ. მერკური, რომელიც წარმოადგენს  
შავ და რგვალ საგანს, ბურთოვით და განათებულია  
მზის სხივებისაგან. იგი, მსგავსად დედამიწისა, ტრი-  
ალობს ჰაერში (ეთერში). მას რომ გარეშემო სარ-  
ტყელი შემოავლოთ დასჭირდებოდა სრგრძით თო-  
თხმეტი-ათასი ვერსისა ე. ი. მერკური ორ ნახნვის-  
ზე უმცროსია დედამიწაზე- მერკურს აქვს თავისი  
საკუთარი გზა, ანუ ელიზი, რომლითაც უვლის

გარეშემო შზესა დი სჭირდება ერთი უემოტრიალებაზე ოთხმოცდა-რვა დღე და ლაპე.

აქ უნდა ვიგულისხმოთ, რომ მერკურზე ჯო-ჯოხეთის სიცხე უნდა იყოს, რადგანაც უფრო ახლო დღეს მხესთან ე. ი. ორმოცდა-ცამეტი მილიონი ვერსის მანძილზე; ხოლო ჩვენი დედამიწა კი ას-ოცდა-ცხრამეტ მილიონ ვერსზეა, ასე რომ ორნახევარზე მეტად დაშორებულია. მერკური შეიძლება დაინახოს კაცმა დასავლეთისკენ მზის ჩე-ვლის დროს.

პლანეტი—ვენერა დაშორებით დგას მზისგან ას-ორი მილიონი ვერსის მანძილზე. სარტყელი დასჭირდებოდა ოცდა-ჩვიდმეტი ათას-სამას-ოთხმოც-და-ოთხი ვერსისა. იგი, აგრეთვე ტრიალებს მზის გარეშემო ორას ოცდა ოთხი დღე და ლამე, ვენერა კარგად სჩანს აღმოსავლეთისკენ მზის ამოსვლის დროს.

პლანეტი—მარსი დაშორებულია მზისაგან ორას-ათი მილიონი ვერსის მანძილზე. აქვს აგრეთვე თა-უის საკუთარი წრე და უვლის გარშემო შზეს ექ-ვსას-სამოცდა რვა დღე და ლამე. მაშასადამე, მარ-სის წელიწადი ორჯერ მეტი ყოფილი ჩვენებურ-წელიწადზე, რადგანაც დედამიწა ტრიალებს მზის გარშემო მარტო სამას-სამოცდა-ხუთი დღე და ლა-მე. მარსს, რომ სარტყელი შემოავლოთ, დასჭირ-დებოდა ცხრამეტი-ათას-რვაას-სამი ვერსისა სიგძრთ. ე. ი. ჩვენი დედამიწა ორჯერ უმეტესიც შარსზე,

მარსი ტრიალებს თავის ღერძზე ოცდა ოთხ  
საათში და ორმოც მინუტში.

იუპიტერი— მზისაგან დაშორებულია შვედის-  
ოც მილიონ ვერსზე, სარტყელი დასჭირდებოდა  
სიგძით ორმოცდა-ერთი-ათას-ოთხას-ორმოცდა-რვა  
ვერსისა; მზისა გარეშემო ტრიალობს თერთმეტი  
წელიწადი, ათი თვე და ჩვიდმეტი დღის განმავ-  
ლობაში, თავის ღერძზე კი ათ საათში.

პლანეტა სატურნი თავის ღერძზე ტრიალებს  
ათ საათის და თორმეტი მინუტის განმავლობაში.  
იგი დაშორებით დგას მზისაგან ათას-სამას მილიონ  
ვერსზე. მზეს რომ შემოლტრიალდეს სატურნი ერთ-  
ჯერ, დასჭირდებოდა ოცდა-ცხრა ჩვენებური წე-  
ლიწადი და ოთხი თვე. მას აქვს რვა ჩვენებური  
მთვარე.

ნეპტუნი— დაშორებულია ჩვენი დედამიწისაგან  
ოთხი-ათას მილიონ ვერსზე, მზისაგან კი ოთხი-  
ათას-ას-სამოცდა-ათი მილიონ ვერსის მანძილზე  
დგას.

მზის გარეშემო ერთჯერ შემოვლას ანდომებს  
ას-სამოცდა ოთხი წელიწ., ცხრა თვეს და თერთ-  
მეტ დღეს, ასე რომ მის წელიწადი მთელ ჩვენ  
საუკუნეზე მეტია. აქ უნდა ვსიქვად, რომ რაო-  
დენათაც უფრო დაშორებულნი არიან პლანეტები  
მზეს ჟხივებისაგან, იმდენი უფრო ნელ-ნელა ტრია-  
ლობენ; პირიქით თუ ახლოს დგანან მზესთან, მა-  
შინ უფრო ჩქარ-ჩქარა ტრიალობენ.

ზეკიერნი პლანეტები, მსგავსად ზევით აღნიშნულებისა, ურიცხვნი არიან, მაგრამ ტელესკოპის თვალი ვერ მისწდომია და ვერ გაურჩევია მათი შორს მდგომლობის გამო. ხოლო საოცარ სილამაზეს წარმოადგენენ ვარსკულავები; ტელესკოპის თვალით რომ შეჰედოს კაცმა, აღტაცებაში მოვა მათი ბრწყინვალებისაგან. მსგავსად უვირფასი, ფერად-ფერადი ქვებისა: ზოგნი მათგანა ბრწყინვენ ბრილიანტივით, ზოგნი—ზურმუხტის თვალივით მაგრამ იმავე დროს კაცს შიშის ზარი ეცემა მათი უდიდესობით: რადგან ჩვენი დედამიწის ოდენა შარები, რომელნიც ურიცხვია, ბუზებივით ტრიალობენ ჰაერში \*).

ყველაზე ახლო ჩვენ დედამიწასთან იცყოფება მთვარეს პლანეტი ე. ი. დგას სამას-სამოცდა-ათასი ვერსის მანძილზე. მთვარეს, რომ გარშემო სარტყელი შემოავლოთ დასჭირდებოდა სიგრძით ათას-ორას-ორმოცდა-თუთხმეტი ვერსისა. ივი უმცირესია დედამიწაზე ორმოცდა-ცხრამეტჯერ. როგორც ვიცით, ჩვენი თვეები და კვირეები დამყარებულნი არიან მთვარეს მოძრაობაზე, რადგან ერთი

\* ) შესანიშნავია ის შით, რომ ძლიან უტესი უვალიან შზის გარეშემთ: ზოგნი მარჯვნივ, ზოგნი მარცხნივ. აგრეთვე ზოგნი ჩქარ-ჩქარა ტრიალობენ, ზოგნი ნელ-ნელა, მაგრამ მაინც არ შეხვდებიან ერთი მეორეს და გველანი თავის აღნიშნულ გზაზე ტრიალობენ.

თვე ე. ი. მთვარე ოთხ ნაწილათ იყოფება: პირველ  
კვირას განათლებული აქვს მთვარეს მეოთხედი ნა-  
წილი რქასავით; მეორე—კვირას ნახევარი; მესამე—  
სამი ჩარექი და მეოთხე კვირას სრული მთვარე ე.  
ი. ერთი თვე.

მზის დაბნელება წარმოსდგება, როდისაც მთვა-  
რე დედამიწის გარეშემო სირბილის დროს, დედა-  
მიწის და მზის შუა მოექცევა, ე ი. სამნივე ერთ  
ხაზზე დამწკრივდებიან არც მაღლა და არც და-  
ბლა. მაშინ მთვარე, თავის აჩრდილით, ცოტათი  
დაფარავს მზის სხივებსა, ამნაირათვე წ რმოსდგება  
მთვარის დაბნელება: დედამიწა მოექცევა მზის და  
მთვარეს შუა და დედმიწის აჩრდილი მთვარეს მიე-  
ფარება და რასაკვირველია დაფარავს სრულიად.

მზე ჩვენ დედამიწაზე ერთ-მილიონ და სამას-  
ათასჯერ უდიდესია. მას რომ სარტყელი შემოაუ-  
ლოთ სამი მილიონი ვერსი დასჭარდებოდა.\* ) მზე  
არის უშველებელი, ცეცხლის ოკეანი-ზღვის მსგავ-  
სი, და უზენაესის ძალით, აქვს იმისთანა თვისება,

\* ) მზის სიცხე დამატება შიდითხ გრადუსა,  
მის ჩეცხლი არის შემკული მზგავსათ ძუგატისა, სხვა  
და სხვა ნირთი ფერებითა. მზე ფანტაზის უფლებან სპა-  
რაკ სინათლებს და სითბოს; მასში არსებულს გლეგრი  
გული ძალა და მაგნიტური, მზის სიჭარით პლანეტე  
ბი მოეწეული და რხევული დაფინანსან შინიჭრის გული  
მოედო მოედო არსებობს.

რომ მოძრაობაში მოჰყავს როგორც ჩვენი დედა-  
მიწა, ისეც ურიცხვი პლანეტები, კომეტები და ვარ-  
სკვლავებიც; რომელთაც მჭიდროთ აქვთ განსაზღ-  
ვრული დრო და წრე (ანუ ელიპსი) რომელსაც არ  
უნდა გადააცილონ და სუსკელანი უფლიან მზის  
გარეშემო; დღის წყობით და რიგით, ერთი-ერთმა-  
ნეთის უკან და რეებენ მხისვან სითბოს და სინათლეს.

ეს ემსგავსება რკინის უმთავრეს ქარხნებში  
ორთქლის მოძრავს, რომელსაც მოჰყავს მოძრაობა-  
ში სუსკელა მანქენები და ჩარხები. აგრეთვე გუ-  
ლის ხმა უნდა ვჰყოთ, რომ მზე, უხილავის ძალით,  
ატრაალებს თვის გარეშემო: დედამიწას, ურიცხვ  
პლანეტებს და სხვა, რომელთაც თითეულს მათგანს  
აქვს თვისი საკუთარი გზა; გარდა ამისა ერთმანეთს  
შეეტაკებოდენ და სრულიად დაირღვევოდენ — რად-  
გან დღის სისწრაფით მიექანებიან სუსკელანი.

ამ, ჯმაში ჰგიებს ლვოური მეცნიერება და  
ძალა, რომლითაც განაგებს და მართავს ყველა-  
ფერს. მართლა, რა დიდი რამე უნდა იყოს ეს მზე,  
რომელც დაშორებულია დედამიწისავან ას-ოცდა-  
ცხრამეტ მილიონ ვერსზე და ამისთანა სიშორეზე  
აძლევს მას სითბოს და სინათლეს! ლვთის გარდა,  
ვის შეუძლია მისი მართვა?! მაგ. ჩვენ რომ ცეც-  
ხლი წაუკიდოთ მთელ კავკაზიას, ამითი რა საკუირ-  
ველია, სპარსეთს ვერ გავახურებთ. მაშასადამე, რა  
უზარმაზერი რამ უნდა იყოს მზე, რომელიც ასე  
ახურებს ჩვენს დედამიწას და პლანეტეს? და რა

დიდი ბრძენი უნდა იყოს მისი მრრთველი?! ვინ  
იცის რამდენი მასალა უნდება გასახურებლათ ამ  
დიდ ელექტრიკულ მანქანას, რომელიც არას ჩვე-  
ნი. მზე და რამდენი ათასი წელიწადია ემსახურება  
დედამიწას და სხვა პლანეტებს, შაგრამ განახლებას  
არ თხოულობს და არც გასათფაბ მასალას \*).

ეს კი სუსუმელისთვის ცხადია, რომ მზე დიდი  
ხანია გაქრიცხული, რომ შემომქმედს არ დაეკავებინა  
მრსთვინ სიცოცხლე და არც მართამდეს \*)...

ვისაც თვალები აქვს დაინახავს და ვისაც გო-  
ნებე-გულისხმას ჰყოფს, რომ მზე არის უსულ-  
დგმულო არსება გაჩენილთაგანი და ყოვლად შეუ-  
ძლებელი იყო თვის-თავად ემუშავა ათასი წლო-  
ებიდები.

\* ) მზეზე რომ შექედის კაცია ტალესკოფის  
ივალით, კარგათ ჰქამჩნევს, რომ უზარმაზარი ჰავანი  
ტები ზედ გარდებდან, რის გმო სიჩათვეც მარტივობის  
იმ დროს, როგორც ნავთის დასხმით ცარცლზე. ეს  
ჭიმური ჩათვესავობითაც მტკიცდება, რომ ეზე ხე-  
რობს დასწევავ მასალას. მზეს ასი წევდიადა უფრისის  
დასაწევათ დედამიწის დღესა შეანერები.

\*, მზე შეხანიგური მუშავობით სწარმოება. რო-  
გორც ელექტრიკულ მაშინას აქვს იმისთანა თვისება  
რომ ერთ ალაგს მუშაობის და ათა ვერსიის შანბილზე,  
შართულის საშეადით, ფარნეგას ანათებს ისევ შზისა-  
კან მოძღვნა-კუთხის სხივები (radi) და აშის სხივების სა-  
შეალით ხურდებიან ურიცხვი შლანერები. შიგრე ბა

ბით და არ შეჩერებულიყო; ან შეკეთება და მართვა არ დასჭირებოდა \*). წარმოვიდგინოდ, ვითომც ქვეყნიერობის მატერიას საუკუნო მოძრაობის უნარი აქვს, მაგრამ ვინმეს თავ და პირველად, შაინც ერთი წკიპარტი უნდა ეკრა, რომ მას ეტრიალია. მატერია თავის თავად ხომ არ დაიწყებდა მოძრაობას. მაშასადამე უნდა დავრწმუნდეთ, რომ არავითარ საგანს ცისა და ქვეყნისა არა აქვს თვისება თავის-თავის გაჩენისა; არც არავითარ მაშინას არ აქვს უნარი მართვისა. ორიანობა, ან სახალხო ორთქლმატარებელის წყობა, მართვა და მიმართულობა, ყოვლად შეუძლებელია თვინიერ წინამდღვრისა, ანუ ინჟენერისა (ხუროთ მოძლვარი), როგორც მაგალითად: გამოგონება, დაწყება, მართვა და შესრულება.

აფილოთ უბრალო საკერავი მანქანა, რომელიც უადამიანოთ, ე. ი. თავის-თავად ვერ იმუშავებს, რადგანაც საუკუნო მოძრაობის უნარი არ აქვს, როგორც უსულდგმულო საგანს.

ან აფილოთ, მაგალითად: სახალხო ორთქლმატარებელი, რომელიც უმაშინისტოდ ვირ იცლის. ძალისნ დიდი გამოცდილნი არიან გემების კაპიტნები, მაგრამ ხან და ხან მაინც ლატაკებენ ხოლმე

\*.) ფულადი ბუნებითად ძალის მაგარი მუწეს ია, მაგრამ, დიდი სხის ხმარებით: ილექს, ილექსის და ჯუჭება, რასაკვირველია.

ერთი-ერთმანეთს გემებს და დაღუპავენ. მაშასადამე, რატომ არ მიეხლებინ ერთი-ერთმანეთს, უს ური-ცხვნი, უზარმაზარი და უსულდგმულო პლანეტები, როგორიც არიან: ჩვენი დედამიწა, მთვარე, ვარსი, იუპიტერი, ვენერა, მერკური, სატურნი, ურანი და სხვა ურიკევი ვარსკვლავები, რომელნიც ჩვენ დედამიწაზე ხუთასი-ათასჯერ უდიდესნი არიან და სუსკველანი მიექანებიან დიდის სისწრაფით, აღნიშ-ნულ წრეზე: (ანუ ელიპსით) მჭრდო წყობრთ და რიგით, ასე რომ ერთი მეორეს არ გადასცილდება ერთი იოტის ოდენს?! ღმერთმა დაიფაროს, რო-მელიმე რომ დასტაკებოდა ჩვენ დედამიწასთან, და-ამსხვრევდა ერთიანად. ან მზეს, რომ გადმოედვარა დედამიწაზე თავის აღულებული ქარზი: დასწვამდა და გაანაცარტუტებდა სუსკველაფერს; აგრეთვე უმ-ცირესი კომეტის ე. ი. კუდიანი ვარსკვლავის და ტაკებით ჩვენ დედამიწასთან, გადმოილვრებოდა სუსკველა ჭლვის და ოკეანის წყლები ხმელეთზე და დაახრჩობდა სუსკველა სულდგმულს. ან კუდიანი ვარსკვლავი რომ მოახლოვებულიყო ჩვენთან, მოს-წანილავდა სუსკველა იდამიანს დედამიწაზე—რაღა-ნაც იგი ჰეთანტავს თავის გარეშემო ნიხშირდას და ჰერი, რომელსაც ჩვენ ვსუნთქამთ, ხდება უვარგისი.

მაშასადამე, უნდა დავრწმუნდეთ, რომ არის იმისთანა შალა, ე. ი. შემომქმედი ცისა და ქვე- ყნის, რომლის განკარგულებით ხურდება მზე, ტრი-ალობენ ურიცხვნი პლანეტები, ვარსკვლავები და

სხვა. აგრეთვე დედამიწაზე: იზრდებიან ხეხილები, წყალი მრმდინარეობს, ფრინველები დაფრინავენ, თევზები ცურავენ და მოღის მოსავალი პურისა და ღვინისა.

მზე რომ ემორჩილებოდეს უგანსჯო მიღრეკილებას, მაშინ მისი არსებობა უაზრო და უმიზნო იქნებოდა; აგრეთვე მუდაშ ერთი და იგივე უცვალებელი ტემპერატურა ექმნებოდა მზეს, როგორც უსულდგმულო საგანს. მაგრამ, როგორც ვიცით, მზე ზაფხულში უახლოვდება დედამიწას, რის გამო წარმოიშობება სიცე; ზამთარში შორდება მას, ამის მიზეზით ყინავს ჩვენ დედამიწაზე. ორივე ესენი, როგორც ზაფხული, ისეც ზამთარი საჭიროა მოსავლისათვის. აჭ უნდა დაუმატოდ ისც, რომ ზამთარში შემოკლდებიან ხოლმე დღეები, ზაფხულში გძელდებიან. აგრეთვე სეზონები იცვლებიან: გაზიფხულს მოჰყვება ზაფხული, ზაფხულს—შემოდგომა და ზამთარი.

მაშასდამე, ღმერთმა ნუ ინებოს! მზე რომ დაბნელებულიყო, ჩვენ ველარ დავინახამდით საგნებს ჩვენ გარეშემო და დავიხოცებოდით სიმშილით— რადგანაც თვინიერ მზისა ყოვლად შეუძლებელიყო მოსავალი რაიმისა ე. ჟ. დედამიწას მიაკლდებოდა სოცხოველე, მცენარეთა იღმოცენება. აგრეთვე მოვკვდებოდით წყურვილით, რადგანაც ვიცით, რომ დედამიწაზე სუსველი ზღვის და ოკეანის წყლებს ძალიან მწარე მარილის გემო აჭვს. მზე

როცა ათბობს მათ, წყლები ორთქლიდ იჭუევიან, მერე აღიან ჰაერში და იქ იკრიბებიან ღრუბლებად; ქარი მრდეს მოდენის ხოლმე ღრუბლებს სადაც საჭიროა,\* ) და მერე ჩამოდის თითო-თითო წვეთობით წვიმა ან თოვლი დიდროვან მთებზე. რასაკურველია, მზის სხივებისაგან თოვლი დნება მთებზე და წყალი ჩამოდის ღელებში; რის გამოც შესღებიან მდინარეები, რომლებისაგანაც წყალს ვხმარობთ სასმელიდ. (როგორც ვხედამთ ჩვენი მთებიც არ არიან გაჩენილნი. ტყვილ უბრალოდ. იგინი და ზმარებას უწევენ წყაროების გასაყვანად და დედამიწის მოსარწყავად).

ღრუბლებში იმოდენა წვიმის წყალია, რომ ღმერთმა ნუ ინებოს! ერთბაშათ, რომ ჩამოსულიყო: დაატრიბდა და დიდ ვნებას მოუტანდა მთელ არსებობას დედამიწაზე. ჰაერი, რომელსაც ჩვენ ვსუნთქავთ დედამიწაზე, არსებობს აგრეთვე ღვთის განკარგულებით, თვინერ ჰაერსა ყოვლიდ შეუ-

აქ უნდა შეგნიშნოდ, რომ ქარს დიდი მნიშვნელობა აქვს კაცის ცხოვრისათვის: ბირუნის ქარის წას-ქილების ჩათხს, ზღვაში შვალის ხომალდებს სიარულშა; მთაქვს სითბო რთდისაც ჭქრის სამხრეთად ნ სიცივე რთდისაც ჭქრის ჩრდილოეთიდან იგივე სცვლის ჩვენი ათახის ჭერს და ჭიშნუავს გაფალ გვარ ცუდისა და კაცის სიმრთესათვის მაგნებელ სუნს და აშრობს ნოტიო დგრედებს.

ძლებელიყო ჩვენი ცხოვრება დედამიწაზე. ეს  
მტკუდება იმითაც, რომ თუთხმეტი ვერსის სიმა-  
ლლეზე, მაგალითად მაღალ მთებზე, ან ჰაეროსტა-  
ტით რომ ავიზეს კაცი ჰაერში — მას სული ეხუთე-  
ბა და მაშინვე გული წაუვა; უფრო ზევით რომ  
აიწიოს, მაგ. ოცი ვერსის მანძილზე, მაშინ კაცი  
ლურჯდება, შეშდება და კვდება. მიზეზი ისა, რომ  
ზევით და ზევით ჰაერი თან და თან თხელდება და  
ბოლოს ალარც მოიძევება სრულობით; დედამიწაზე  
კი, როგორც ვიცით შეზაფებული ჰაერია. კაცი  
ადვილათ სუნთქვას და ამის გამო ცხოვრობს.

ახლა ისიც უნდა წარმოვიდგონთ, რომ რა-  
მოდენა ურიცხვი საუკუნოები გაიარეს, მაგრამ ბუ-  
ნებრივი მოვლინებანი და მათი მჭიდრო კინონიერი  
წყობა და მიმართულობა ცისა და ქვეუნისა არ  
შერყეულან და არც იცვლებიან.\*.) ესენი კარგათ  
გვიმტკიცებენ ჩვენ უზენაეს ძალას, (Ens sapientiae)  
რომელიც არის ფრიად ბრძენი, ყოვლად ძლიერი

მეცნაერებმა ისიც გამოარკვიეს, რომ ზღვის  
წელები იწვევიან ხდემე დღის: ე. ი. სადაც წესა-  
ცე, იგრ ხმელეთთ იქცევა ხდემე და სადაც ხმელეთი  
იქ ზღვებს წესაცე გადადი ნ. აქაც გულის ხმა უნდა  
ვჭერთ ღვთის ზრუნველობა კაცისადმე — რადგან დიდი  
ხნის ხვნა-თესვით დედამიწა იდალება და ხდება უგარ-  
გისი, ხდეთ ამნაირ საშუალოთ, რასაკვირველია ნაერ-  
ფიურისა ეფინებს ხელმეორედ.

და უმაღლესად გულკეთოლი. ოომელიც მუზამ  
მართავს მათ და ზრუნველობას უწევს არაძირუ  
კაცს, აგრეთვე პირუტყვებს და მცენარეებსაც—  
რადგანაც უზენაესის წყალობრთ სუკველანი იკვე-  
ბებიან და ცხოვრობინ. ამას ჩვენ უწოდებთ ლმერთს,  
თათრები ალახსა, ურიები ადონაის და სუკველა  
სჯულის ხალხი თავისებურად: ოლომც სუკველანი,  
დასაწყისიდანვე სოფლისა, დარწმუნებულენი იყვნენ,  
არიან და მუდამ იქმნებიან მის არსებობაზე.

რაიც ზევით ვსთქვით, იგი შეეხებოდა ვარს-  
კვლავთ მრიცხველობას. ახლა გადავიდეთ ქვეყანა-  
ზე და გავარჩიოთ: კაცი, პირუტყვი და მცენარეები.

როგორც ანატომია გვიმტკიცებს, მთელ კაცის  
ტანს გარეშემო ახვევია ძარღვები, წვრილი მარ-  
თულებივით: ზოგს მათგანს სხეულის კანთან უთავ-  
დება წვერი, ზოგს თვალებში,—ურებში,—ცხვირ-  
ში და პირში. ყველა ძარღვებს თავიანთი სამსა-  
ხური აქვთ აჩენილი. მაგ. სხეულის კანის ძარღვე-  
ბით კაცი გრძნობს: საგნის სიმძიმეს, სითფოს და  
სუცივეს; თვალების ძარღვები ხელვას ემსახურებიან,  
ე. ი. არჩევენ ფერებს, საგნების ფორმას და შორე-  
ულ მანძილს; ყურების—სმენულობრი ხმაურობას  
და ძალიან ეხმარებიან ლაპარაკში; ცხვირის—ყნო-  
სვას და პირში დაფანტულ გემოვნებს. მაშასადამე,  
ძარღვების საშვალოთ, გონება ტყობულობს გარე  
ბუნებაზე, რომ სხვა და სხვა საგანი: რგვალია,  
წითელია ~~მაგრამ~~ ტკბილია, ხორცილიანია და სხვა.

ფეხში ოომ ნემსი შეერქოს კაცს, მათინვე  
ფეხის ძარღვები შეატყობინებენ გონებას, ოომ აქ  
დიდი უბედურობა მოხდათ; იმ წამსვე გაჩნდება სულის  
დაშფოთება, უეწუხება და საშვალების მოგონება.  
ერთი კაცი თუ ელაპარაკება მეორეს რაშე საგანზე,  
ეს ლაპარაკი შედის მეორე კაცის ყურებში და ძარ-  
ღვების საშვალით, რა საკვირველია, გონება ტყო  
ბულობს ამ ფარავს; გაშინვე, სინდისის და გულის  
დახმარებით, გაჩნდება მსჯელობა იმ საგანზე და  
კანონიერი გარჩევის შემდეგ პასუხს იძლევა პირის  
ძარღვებს საშვალებით. ეს იმას მოასწავებს და დარ  
წმუნებულიც ვართ, ოომ სხეული კაცისა არ მოქ  
მედობს თავი თვისით; არც დამწყობია მოძრაობისა,  
ხოლო მარტო არის ბრძანი განსჯისა. მაშა-  
სადამე, ადამიანს აქვს იმისთანა უმაღლესი გონების  
თვისება, ოომელიკ პირუტყვებში არ მოიძევება.  
მაგ. ჩასახება აზრისა მთელ ქვეყნერობაზე და უხი-  
ლავ რამეებზე, მათი საცალკეო ცნობა, ოომლი-  
თაც კაცი იმაღლებულია მეცნიერებით; ზნეობრი-  
ვათ გადარჩევს კეთილს და ბოროტს და ცნობა აქვს  
ლვურისა და საჩქმუნოებისა.

ესენი ძლიერ განირჩევიან გრძნობიერი (ინ-  
სტრუქტური) მოქმედებისგან, ე. ი. პირუტყული და  
მცენარული ცხოვრებისაგან. პირუტყვებს არ შეუ-  
ძლიერ თავის თავიდ მუშაობა და მუდამ მზა მზარეულ  
სჭამენ. მაგ. ჭიანჭველას არ აქვს უნარი: არც ხვი-

სა და ორც თესვისა, მაგრამ კარგად კრეფს ქერს  
და სჭამს

საჭმლის მიღებაზედაც, რომ დავაკვირდეთ დიდ  
განსხვებას აღმოვაჩენთ პირუტყვთა და კაცთა შო-  
რის. პირუტყვი მარტო გრძნობის საშვალით ცვე-  
ბება; ხოლო კაცი გრძნობის გარდა გონებასაც  
ხმარობს. მაგ. ცხენი რომ მიაღვება ქერს, იმდონ-  
ხანს სჭამს მანამდი არ დაშავდება, რადგან ვერ  
ცნობს მის მავნებლობას კუჭისათვის, კაცი კი, ჯერ  
გამოიძიებს საჭმლის თვისებას, მის სარგებლობას  
სტომაქისათვის — ნუ თუ ადვილი მოსანელებელია?  
აგრეთვე ზნეობითა გაარჩევს: ნუ თუ, შესაფერია?  
ნუ თუ, არ დასძრავენ? ან სარწმუნოების წინა-  
მდღეგი არიქმნება და ზომიერათაც იღებს. პირუ-  
ტყვებს, რასაკვირველია არ შეუძლიათ ლაპარაკი  
და ვერც გამოსთქვამენ რასაც გრძნობენ, ამის გამო  
ესენი უცხო არიან თავიანთ გაუმჯობესობაზე და  
სხვა რამეების მოგონებაზე. მაგალითად: ფრინვე-  
ლები აკეთებენ თავიანთ ბუდეს; ობობია — თავის  
ბადეს იმავე ნაირათ, როგორც აკეთებდენ ექვსი  
ათასი წლის წინათ. პირუტყვების ფგებულობა სხვა  
არის და კაცის სხვა არის. პირუტყვებს არ აქვთ  
პაწია ენა, როგორც კაცს, რომელიც ხმოან კლა-  
ვენათ მსახურობს ლაპარაკში და დრო ენას აწარ-  
მოვებს.

პირუტყვებს, რასაკვირველია არ აქვთ: ცნო-  
ბის მოყვარეობა, დაკვირვება რამეცმი; ვერც გა-

ზაწყვეტილობას იქმნენ მომავლისათვის. აგრეთვე — არ აქვთ: შებრალება, ნამუსი, ცნობა უხილავი რამეებისა, მესხიერება მუსიკისა, მხატვრობისა; ადრ ცნობა აქვსთ კეთილისა და ბოროტისა. მაგ. ვირს რომ უცხო ვინმე, მოუახლოვდეს წიხლებს ჰკრავს; პატრონიც რომ მივიდეს, იმასაც ტლინ კებს მიაყრის.

პირუტყვამა წინათვე არ იცის, რა აღსასირული მოსდევს თვრს მოქმედებას; არ იცის, რომ სუსყველი ცხოველი მოსაკდომია; არ იცის რომ ჩაფხულს მოყვება ზამთარი და სხვა.

აგრეთვე უნდა დაუშატოთ, რომ პირუტყვს არ შეუძლია თავის-თავის მართვა და ვერც საშვალებას იხმარავს თავის დასარჩენად, ან უბედურობის თავიდან ასაცილებლად. მაგ. ვირი რომ მიადგება წყალს, მაშინვე შეჩერდება: არც წინ წავა და არც უკან დაიხევს. კაცი კი: ან გარეშემო შემოუვლის, ან ხილს გააკეთებს და სხვა.

შესანიშნავი კიდევ ისაა, რომ პირუტყვები იბადებიან ბეწვეულობითა და რამე თავ-დასაცვავი იარაღითა: ზოგს მათგანს რქები აქვსთ; ზოგს უშველებელი კბილები, ფრჩხილები და სხვა.

მაგალითად: სპილისთვინ იარაღად მიუცია გამჩენს ხორთუში, რომლითაც რკინის სვეტებს შემოლეწავს ხოლმე; კუს, პნეცირივით აკვრია გარეშემო ძვლის საფარი; ვეშაპს აქვს უზარმაზარი ლონიერი კუდი, რომლითაც გემებს ნაფოტებად აქ-

ცეცხლში ერთი შემოკვრით \*).

კაცი კი იბადება სულ ტიტველა, თვრნიერ რამე იარაღისა; მაგრამ ლმერთს მისთვინ მიუცია სულიერი განსჯა, რომლითაც იმკობს თავის-თავს სუსკელანირი სიკეთითა და იმორჩილებს, როგორც მაშინას, ყოველ გვარ პირუტყვა.

დიდი რამაა კაცის გონება. მის საშვალით კაცმა ჭრვების წყალი დააშრო, მდინარეები შეა-კავა, ტყეები ააყვავა, წასული უამი გამოიანგარიშა, დედამიწა და სხვა პლანეტები გამოზომა, მთები შლაზე გააპო, კაცობრიობა შეაერთა. ერთი სიტყვით დედამიწა წარმოადგენს ნიშნებს კაცის ნიჭიერებისას. მაშასადამე, უნდა დავრწმუნდეთ, რომ კაცს და პირუტყვა შუა იმისთანა განსხვავებაა, როგორც მზის და საწოლის შორის. მართლია, კაცში მოიპოვებს: როგორც პირუტყული (გრძნობითი) ცხოვრება, ისევ მცენარული (თმის ამოსვლა) მაგრამ ეს, ორივენი ემორჩილებიან განსჯითი ცხოვრებას ე. ი. სულს.

ხოლო პირუტყვი წარმოადგენს ავტომატურ

\*.) ვეშაპი ზღვაში მცურავია: სიგძით ათი საჭენია, სიგანით სამი; იწონება რეა ათასი ფუთი. მართლა, რა საშინელი რამ იქმნებოდა, რომ ამ გვარ ცხველს დედამიწაზე ეცხოვდა? ან როგორ უნდა ესრა, ათხ ფეხზე, თრასი ხარის ფდენა სიმძიმე? ან რას უნდა გაეძღვო ამისთანა მოძრავი მთა?

შაშინას, რომლის მეხანიზმი წარმოებს (ალლოსა-  
მებრ) ინსტინკტურათ. უფრო უკეთ რომ ვსოდეთ  
— პირუტყვი ემსგავსება მცენარეს, რომელიც მი-  
წიდგან ამოდის, იკვებება, იზღება, ყვავდება, გა-  
მოყავს თავის ნაყოფი და ხმება.

ახლა ცოტათი შევეხოთ მცენარეების თვისე-  
ბის და მათი სარგებლობას:

მრვენიერი სანახავია გაზაფხულზე ბალები და  
შინდვრები. რა მოდგმის, რა მოყვანილობის ყვა-  
ვილს არა პნახავს იმ დროს კაცი — წითლად, ყვით-  
ლად და თეთრად არიან გადაპენტილი ხეხილები.

ყვავის ეკლიანი ბუჩქები, ყვავიან უზარმაზარი  
ხეები, ყვავის ია, რომელიც ძლივს სჩანს ბალახებ-  
ში. ყველას უხარია, ყველა მორთულია და გაზაფ-  
ხულს ეგებება.

ერთი შეხედვით შეამჩნევს კაცი, რომ მცენა-  
რის ძირი ფოთოლს არ ემსგავსება, ფოთოლი ყვა-  
ვილს, ყვავილი ლერს და ლერი ნაყოფს. ესენი,  
ერთი მეორესაგან განსხვავდებიან, მაგრამ ერთად  
მოქმედობენ ნაყოფის შესამუშავებლად \*).

როგორც ბატანიკა გვიმტკიცებს: მცენარე

\*.) ეს ემსგავსება საჭირო მიმართულობას ერთმა-  
ნეთში, მაგ. ერთი პურს უიდის, მეორე დგინდს, მე-  
სამე ჩექმდს. და ამ გვარათ საგნების შეღვდით დასმა-  
რებას უწევენ ერთი შეთრუს და ატრიალებენ ცხოვრების  
ჩარხს.

სჭამს, სუამს და კიდევაც სუნთქვას. მაგ. ვისაც  
თვალი უდევნია ახლად ამოსულ ლობიოსთვინ  
კარგათ შეამჩნევდა მის მომწვენო ფერის ბიბი-  
ლოებს, რომელნიც სჭელ ფოჯლებივით აქვს  
აქეთ-იქით მიმსხდარი. რამდენიც ლობიო იზღება,  
იმდენი მცი ბიბილოები ილევა, ჭინდება, ფერს  
ჰყარგავს და ბოლოს სრულიად იჩულება და სცვი-  
ვა. იგივე უნდა ვსთქვათ ტორბლის ბიბილოებზე  
და სხვა.

ბიბილოები საზრდოთ აქვს აღნიშნული ნორჩ  
მცენარეს. პატარა ყმაწვილისათვის ღმერთს დედა  
მიუკია რომ შიმშილის დროს ძუძუ აწოვოს; ხო-  
ლო პატარა მცენარეს, რასაკვირველია, დედა არა  
ჰყავს და ფესვებიც არ გამაგრებია მიწაში, რომ  
მ-სგან საჭმელი მოიპოვოს. მაგრამ ღმერთი ყვე-  
ლესათვის ერთნაირად ზრუნავს და უნუგეშოთ არც  
ნორჩი მცენარე დაუტოვებია—მისთვინ, დაბადე-  
ბილანვე, დაუყოლებია ბიბილოები, რომელსაც  
მცენარე სწოვს, როგორც ძუძუს, მანამდი ფესვებს  
გაიდგამდეს მიწაში.

მცენარე ჭამით კი სჭამს, მაგრამ პირი ჩვენე-  
ბურათ კი არაქვს მოწყობილი—პირი ფეხებზე  
უბრა, მცენარე რომ მიწიდან ამორლონ სიფრთხი-  
ლით, შეამჩნევენ ფესვებზე პატარ-პატარა, ჩჩილს,  
მოთეთრო და მოგრძო ლოლოშებს, ეს არის მცე-  
ნარის ტუჩები, ამითი სწუწნის ის საზრდოს. რო-  
დესაც მცენარეს ძირში წყალს დაუსხავენ, წყალი

მიწას გაადლუებს, მარინ მცენარე მისგან აშლაწოვამს რაც გასუი რჩე თიკეთეა. ამ წვენს ფესვებში გაისტუმრებს, ფესვები უფრო ზევით გადასცემენ და ხის ლერში მოექცევა; შემდევ წვენი გავა-გამოვა ტოტებში; შევა ფოთლებში და გაყვება ყველა მის ძარღვებს. აქ ფოთლის ფოსოების შემწეობით შეეხება გარემო პაერს და გადასცემს რაც თევისთვინ გამოუყენებელია, ე. ი. მუავდანს; ხოლო, სამაგიეროო, მისგან მიიღებს და შეითვი-სებს ნაშერდამს, რომელიც მისთვის აუცილებლად საჭიროა. ამ ფოთლებში შეიმუშავების ხოლმე მი-შიდგან ამოწვილი წვენი და შემუშავებული უბ-რუნდება უკან ისევ მცენარეს. დაჰყვება თავქვე, მაგრამ წინანდელი გზით კი არა, ეხლა ქურქს ჩა-მოყვება და ასაზრდოებს ყოველივე ასოს მცენა-რისას. მაშასადამე ამ წვნის შემწეობით კეთდება: ფესვები, ლერო, ტოტები, ფოთლები, კვირტები, კოკრები, ყვავრლები და ნაყოფი \*).

შემოდგომას, რასაკვირველია, ხეს დასცვივა ფოთოლი და დარჩება ზამთრისთვის შიშველ-ტრ-ველი. მაგრამ ყველა ფოთოლის ძირში მეჭეჭის-ვით მიმჯდარი აქვთ კვირტი გაზაფხული რომ დად-

\*). მცენარეები არამცთუ იკვებებიან მიწის და ჰე-რის ნეოფისაგან, აგრეთვე არინ მათ შორის იშის-თანა მცენარეები, მაგ. ბუზიულაპია, ცვლილა და სხვ., რომელნიც ბუზებს და კოდოებს იჭერენ და სჭიმუნ.

გება და ხეს წყალი ჩაუდგება, ეს კვირტები ხდეს  
ახლა შემოსამენ ხეს ფოთლებით. თესლსაც შემ-  
დეგი თვისება აქვს. თესლი იგივე კვერცხია: რო-  
გორც ფრინველი გამოიჩინება კვერცხიდან, ისეც  
მცენარე აღმოსცენდება თესლიდგან. მაგ. ლობიოს  
მარცვალი რომ წყალში დააღმო, კანი გადააძრო  
და მერე ზურგიდან სიგრძეზე ფრჩხილი გაუყარო  
და შუატე გაჩეხო: გულში, ერთ მხარეს ნასახი გა-  
მოუჩნდება. ამ ნასახს რომ დააკვირდე ნამდვილი  
მცენარე მოგაგონდება: ემჩნევა პატია ფოთლები და  
ნემსის წვერივით ნამცეცა ძირი. აქედგან უნდა ამო-  
ვიდეს ნორჩი ლობიო, ეს უნდა იქცეს მომავალში,  
მცენარედ. \*)

მცენარეები იძლევიან კაცეს სასარგელოთ;  
ჩაის, ყავას, შაქარს, სანთელს, ზეთს, ფის, ორაცს,  
კანაფს, ნელსაცხებელს, ნაირ-ნაირ სალებავს, ბამ-  
ბას და სხვა. აგრეთვე მთელი ჩვენი სამკურნალო-  
ება შემდგარია მცენარეების ძირისაგან, ფოთლების  
და ყვავილებისაგან. აქედან ვხედაკთ რა ჭიკვიანუ-  
რად, შორმჭვრეტელობით და მოხერხსბულად არი-  
ან შემკული მცენარეები და რა დღი შემწეობას  
იძლევიან კაცის ცხოვრებისათვის.

\*) ეთთი გვარი მცენარე, რომელსაც ტოტებზე  
ჩამოვალებული აქვს ჰაწია დოქები: წყიმის დროს იმ-  
სებიან კს დოქები; ხოლო გვალვას დროს გადაბრუნ-  
დებიან ხლომე და ფისვებზე წყალს ასხამენ.

ყველაფერი რამე მიზნისთვინ არიან გაჩენილნი; შესანიშნავი მცენრედ იონჯა, სამყურა ბალახი რომ იცის და საქონლისათვის უპირველესია. მაგრამ მას ერთი ნაკლებულობა აქვს: ყვავილი ისე აქვს მოყვანილი, რომ თესლს თავის-თვეად ვერ გამოიღებს; და თუ თესლი ვერ გამოიტანა, რასაკვირველია, ვერც გამრავლდება.

ამ შემთხვევაში შემწედ ყავს მას კრაზანა (ფურკარის მსგავსია) კრაზანა იონჯის ყვავილის თაფლს ეტანება. ამ დროს დინგიცა და ჭათიბიც ყვავილს მტვრით შაეგანგლება ხოლმე. გადაფრინდება მერე სხვა ყვავილზე და სწოდეს სრტკბოებს; ხოლო მისი გულიდგან წამოყოლილი მტვერი მოხვდება ამ მეორე ყვავილის ნასკვს და ყვავილი დაითესება. ამ გვარად გადადის კრაზანა ერთი ყვავილიდან მეორეზე და უველგან დააქვს ყვავილის მტვერი.

ამ კრაზანამ გროვა-გროვად იცის მიწაში ცხოვ-რება, მაგრამ ამათ ახლოს უყვარს ცხოვრება მინ-დვრის თაგვსაც. შეიპარება იმათ ბინებში — კვირ-ცხებს შეუჭამს და თაფლსაც. თაგვებს, რომ ამაში ხელის შემშლელი არავინა ჰყავდეს სულ სინსილას: გაუქრობდნენ კრაზანა ჭიას. მაგრამ იმათი მოსის-ხლე მტერი არიან ცხოველი დედოფალი და ფრინ-ველი ბაიულში, სადაც კი მოასწრობენ ჭოქს უქ-რობენ.

ამათ რომ თაგვები არ გაწყვიტონ, კრაზანა ვერარ დადოთესლებდა იონჯას და ეს ხომ დიდი და-

ნაკლისი იქმნებოდა ჩვენი შინაური პირუტყვისთვინ.

ამით ეს დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ  
ლმერთს უმიზნოთ არაფერი გაუჩენია და სუკველის  
თვის იღუნიშნავს რამე ვალდებულობა. მაშასადამე,  
ყოვლად შეცძლებელი იყო, რომ კაცი, რომლის-  
თვისაც ლმერთს მიუცია უმაღლესი ნიჭიერება—  
უმიზნოდ და მუქთა ჭამიათ გაეჩინა.

---

ძველი დროის ფილოსოფოსები ამბობდენ: „ჯერ  
იცან თავი შენი და მერე სცნობ ლმერთსაო..“

მაშასადამე გამოვიძიოთ კაცის ვითარება! თავ-  
და-პირველად ჩვენ უნდა გავაცალკეოდ სიბნელე  
სინათლისაგან, როგორც ლმერთმა გააცალკევა გა-  
ჩენის დროს ამა ქვეყნისა. მაგრამ, რომ გავაცალ-  
კეოთ სიბნელე სინათლისაგან უნდა ვსცნოთ სიბნე-  
ლე. ბევრნი მას არ ცნობენ და თვლიან სინათლეთ.

სიბნელე არის: ჩვენი სისუსტე, უძლურება  
და არარაობა. როდესაც ჩვენ ამას გავარჩევთ, მა-  
შინ შევრტყობთ ჭეშმარიტებას ე. ი. ლმერთს, მი-  
ზანი კაცის სიცოცხლისა ჯრის, რომ გაიცნოს ჭეშ-  
მარიტება და თუ კაცს გონება დახშული არ აქვს  
გარყვნილობითა და აგრეთვე ნებიერად მოისურვებს,  
ადვილად შესძლებს მის უეტყობას, რადგანაც ჭეშ-  
მარიტება შუდამ მზათაა რომ მას შეეკავშიროს.

ბუნება კაცისა შემდგაროთ რო კერძოსაგან;  
ჩვენი პიროვნება შეადგენს ორჭოთ ცხოვრებასა:

სულიერ და ხორციელ. ამ ცხოვრებაში, ორი კერძო ჩვენი ბუნებისა — სულიერი და ხორციელი ისე გვიდროთ არიან. შეკავშირებული, რომ უერთმანეთოდ ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია. როგორც ხორციელ მშვიდობას ტანის სისალეში უხედავთ, ისეც სულიერი მშვიდობა გამოიხატება სინდისც განსპეციალებაში და სიწმინდეში.

სულიერი მშვიდობა არის მაშინ, როდესაც კაცის მოქმედება ეთანხმება სინდისის ხმას და უმარავრესი ანდაზად აჭვს სრული არსი, რომელსაც თავის ცხოვრებას მას აბაძებს.

ყოველ კაცს გამოუცდია, რომ კეთილი სიჭმისათვის სინდისი ემაღრიელება მას და უმეტესად წაკეზებს; ხოლო ბოროტი საქმისათვის ამხელს და სტანჯავს მას. მაშასადამე სინდისი არის განსჯის ნათელი და ჩვენი მსაჯული, რომელიც გარჩევს ზნეობრივათ კეთილს და ბოროტს — და აქვს ზეშთაბუნებრივი მრმართულობა თვით ყოვლის მპყრბელ-ღმერთთან. ამის გამოა, რომ იგი მიეურნება მუდამ: სიმშვენიერეზე, მშვიდობაზე, გულკეთილობაზე და შრომაზე. სიმართლისათვის ვრძნობს სისარულს, ხოლო უსამართლობრივის ლელაშს და მუკოთავს \*)

\*) უფრო გრძელი მოსაზრე, თავის მოქმედებაში, ხელმძღვანელის სინდისათ — ჰადგ. ნ მას ცნობს თავის მართლ-მსჯულათ, რომელიც არჩევს კეთილს და ბოროტს.

სინდისი იგივე ზნეობრივი ქანონია, რომელიც  
აღმართილია ყველა კაცის გულში: თუ გინდ დი-  
დი მეცნიერი იყვეს, თუ გინ გაუნათლავი — პატიო-  
სან მოქმედებას გლახისგან მუდამ გაარჩევს.

მაგ. როცა შვილი პატივს ტკემს თავის მშო-  
ბლებს, ჩვენ ვაქებთ მას და ლირსიც იქნება სასყი-  
დლისა; ხოლო, თუ ვინმე ჯარის კაცი სამშობ-  
ლოს გასცემს, ჩვენ ზიზლით უყურებთ მას და სას-  
ჯელის ლირსიც არის.

მართლა რომ, კაცი არ შეუძლია იგრძნოს  
რამე, ან შეამჩნოს, ან მოიგონოს, რომ სინდისი  
არ დაემოწმოს მაშინვე. სინდისის დამოწმება ჯერ  
სიბნელით სჩანს, მაგრამ როცა კაცი ყურადღებას  
მიაქცევს იგი განათლდება.

მაშასადამე ყველა კაცი შეუძლია მისდიოს  
თავის სინდისის ხმას და მოვალეთაც ცნობს მის-  
ასრულებას, თუ გონება დახშული არ აქვს ბორო-  
ტის ჩვეულობით. ხოლო გატეხვის დროს, კაცის  
სული დოდ შიშა სწევს, რაღვან დარწმუნებულია,  
რომ ზნეობრივი სათნოების წინააღმდეგ, განკით-  
ხვის დღეს, დასჯილი იქნება უმაღლესი შართლ-  
მსაჯულობით.

და იმავე დროს აგრძნობინებს : დამიანს: ან სიამოვნე-  
ბას, ან უსიამოვნებას და ამ საშეალოთ კაცი ტუდუ-  
ჭობს, რომ შეუსრულებია თავის მოვალეობა ან არ  
შეუსრულებია.

სულის და სხეულის არსებობაზე.

სული არის განსჯა აზროვნებისა, ერთა ნაწილი ღვთიური არსებისა: გრძნობიერი, ერთ გვარი, შეუცვლელი და განცალკევებული სხეული საგან. ხოლო სხეული არის ერთი მასა, შეკრძბულობა შოლეკულებისა, რომელსაც აქვს: სიგდე, სიგანე, სიღრმე და წარმოებს სულის მეოხებით. აქ უნდა ვსთკვათ, რომ რავდენათაც უშნოს და ულაზათოს ვხედავთ სხეულს უსულოთ, იმდენათ უფრო სული უხორცოთ მშვენიერია და განსპეტაკებული \*).

### სულის მოქმედებანი

როგორც კაცი არ შეუძლია გაეჭვიანდეს არსებობაზე ქვეყნიერობისა, ისეც ვერ გაეჭვიანდება სულის არსებობაზე—რაღანაც იგი ყველა გონიერ კაცში ერთგვარათ მოქმედობს: ე. ი. ფიქრობს, გრძნობს, ზედგავლენას იქონიებს, მსჯელობს, სურს და ლონისძიებაც აქვს არ ინებოს. იმჩნევს და არ

\*.) უბრალთ ენით ფოშ გამოერკვითთ: სული, როგორც თუ ბრლიანტის თვალი იყოს; ხოლო სული ემსგავსება მის უფასო, რომელშიდაც ძვირფასი იყოდა სდებს. მაშინადა, სხეულს დადა ფრის რაჭებს როგორც სულის დაჭადს.

ჩევს სათნოებას და გარყვნილობას, ეჭვნეულობას, ამტკიცებს ან უკუ აგდებს.

სულ 4 აქვს საში ძალა: დახსოვნება, გონება და სურვილი. ესენი განირჩევიან ერთი მეორესა-გან, მაგრამ ერთად მოქმედობენ, რადგან დახსოვ-ნება აამოძრავებს როგორც გონებას, ისეც სურ-კილს. ამავე ღვთიური გრძნობით კაცი სწავლობს სხვა და სხვა ენას, ითვისებს ჰაზრებს და წარმოდ-გინებს. ხოლო ჩვეულობა, რომელსაც უწოდებენ მეორე ბუნებად, არის განმეორება ერთი და ოგოვე საქმისა მრავალგზის, რომელიც ამიერსიერებს მას მოქმედებაში და აძლევს მიღრეკილებას კეთილზედ ანუ ბოროტზედ.

გონება კაცისა თრის წიგნი = აუხოცველი, სა-დაც, ჩვენდა დაუკითხავად, აღბეჭდილია: ყველა ჩვენი ჰაზრები, სურვილები და მოქმედებანი — თა-ვის დასაწყისით და ფორმით. ერთი ჭიტყვით, როგორ ბიოგრაფია ჩვენი სიცოცხლისა \*).

გონება, სინდისის დახმარებით გაარჩევს ხოლ-მე საქმის ვითარებას და მასზე მსჯელობს; ხოლო სურვილი გულისა გადაწყვეტილობას იქმს, მაშისა-

\* ) ეს ემსგავსება ფოტოგრაფიის მაღაზიას, სადაც უმრავლესი ნახტები დამტკიცებულია; ამავე ნაირათ პრის გონებაში დანიშნულია სუვერენი გვარის სურათები, რომელიც თავის სცოცხლების უნიკალურია. ხშანათ მათ წარ-მოიდგინს, დანართ მთ სარისხს და მსჯელობას აქმს.

დამე სურვილის ხელშია: ამოირჩიოს, თუ უკ-  
ჰუს ჭეშმარიტი გზა.

სულის მოქმედება განირჩევა ორ ხარისხით —  
მოქმედება გრძნობიერი, რომლითაც აწარმოებს  
სხეულის ორგანოებს და მოქმედება გონებრივი,  
რომლითაც სული ბატონობს სხეულზე და ვაჩენი-  
ლია მცს მართვისათვის. აქ უნდა ვსთკვათ, რომ:  
თუ სულს სურველი აქვს შეჭედვისა, მაშინ სხეულს  
თვალებს გააღებინებს; როცა სურს რამის აღება —  
ხელს გააშვერინებს; თუ საღმე წასვლა უნდა სხეუ-  
ლის ფეხები მოქმედებაში მოყავს... ამბობენ ხოლ-  
მე: „სული სჭამს; — სვამს, — დადის; სული ხატავს,  
— მუზიკას ლკრავს და მცცნელერულ თხურულებას  
ადგენს. ეს მართალია, რადგან სულის გადაწყვი-  
ტილობით ორგანოები მოქმედობენ. მაგ. თუ კაც  
საღმე წასვლა უნდა, მაშინვე შეეკითხება თავის  
განსჯას — ნუ თუ სასარგებლობა მისთვის ეს მგზავ-  
რობა? თუ რამც ჭამა უნდა — ნუ თუ მავნებელი  
არ იქმნება. ერთი სიტყვით: როცა სხეულს სწყუ-  
რია არ ასმევს, თუ შია არ აქმევს და ეწინაღმდე-  
გება ყველა მავნებელ მიღრეკლებაში, სურვილში  
და საჭიროებაში. მაშინადამე უნდა დავრჩმუნდეთ,  
რომ — როგორც ორთქლ მატარებელი ვერ ივლის  
უმაშინისტოდ; აგრეთვე კაცის სხეული, თვინიერ  
სულისა ვერ აწარმოებს საქმეებს.

სულს აქვს სამი უმთავრესი შეძლება: გრძნო-  
ბა, ცნობა და სურვილი.

გრძნობით იღებს რამე აღბეჭდილობას; მას გაიცნობს და შეადარებს მსგავს საგანთან, შემდეგ თანახმობის სურვილს აცხადებს.

ცნობა არს ორნაირი: პრაუტყვებს აქვთ მარტო გრძნობითი ცნობა, რომელიც საგრძნობელობრთ უკიძინება; ხოლო კაცს აქვს ამ გვარი ცნობაც და გონივრულიც, რომელითაც უხილავთა სცნობს. ამისგარდა ჩვენ სულს აქვს ერთი გვარი ცნობა, რომელიც მას არ შეუძენია დედამიწაზე. მაგალითად: სიმსგავსე თანასწორობისა, — სილამაზისა და ჭეშმარიტებისა. ჩვენ უყურებთ ჩვენ გარეშე თანასწორ ნივთებს და არა ნამდვილ სიმსგავსეს; უყურებთ სილამაზეს და არა საუკეთესოსა; — სამართლიან მოქმედებას და არა ჭეშმარიტებულ. ჩაშარე სულს ამ გვარი ცნობა შეუძენია უწინარეს შეერთებისა სხეულთან — რადგანაც რგონებს წასულ, ძველებურ ცხოვრებას, სარაც სულმა ნახა: უმთავრესი ჭეშმარიტება, უმაღლესი სიკეთე და თავის თანასწორება. ერთი სრტყვით სული არსებობდა პრაველადაც, ვიდრე შეეკავშირებოდა დედამიწაზე ერთ სასიკვდილო სხეულს.\*)

წარმოვიდგინოთ ახლა ჩვენი სურვილი:

სურვილი ძლიერდებისა, — მეცნიერებისა და სურვილი ბედნიერებისა, ამ გვარი მრდორეკილება

\*) აქ უნდა ვსთქვათ, რომ სული განენილია; ხალთ სხეული კაცისა საგანიერია.

სუსველა კაცის გულში არის ჩანერგილი. და სუსველა ცდილობს თავის გაუმჯობესობაზე; ხოლო პირუტყვში ამ გვარი სურვილი არ მოიძევება.

ძველი დროიდანვე, სუსველა ფილოსოფოსები ამტკიცებდენ, რომ კაცის გვამში არსებობს ცხოველ-მყოფელი სული, რომელიც ძლევს სხეულს თავის ფორმას და მას ამშვენებს განსჯით და მეცნიერებით.

აგრეთვე, დასაწყისიდანვე სოფლისა ვიღრე ამ უამამდე, სულის უკვდავობა სუსველა გვარ-ტომებს სწამთ. ამის გამო იყო, რომ ეგვიპტელები მკვდრებს აბალზამევდენ და დიდის პატივისცემით ასაფლავებდენ. მართლა, რა არის სიკვდილი, თუ ამ სულის გაყრა ხორცისგან და შეჩერება ორგანოებისა, ანუ მათი დარღვევა—რაღგანაც ელემენტები, რომელნიც სიცოცხლის ძალით შეკავებულნი იყვნენ ირლევრან და განცალკურებიან. ამის გამო სხეული კაცისა რჩება უძრავით; ხოლო სული, რაღგანაც არის მარტივი, უმატერიალო არსება და არა შედგენილი სხვა და სხვა ნაწილებისაგან, ყოვლად შეუძლებელია მისი დარღვევა. ამ სულთაკვეთაობაში იბასება უსწორ-მასწორობა: მოწინაღმდეგები ძალამენ თავიანთ მოწინაღმდეგებს; დიდი მუდამ უმშერს პატარას; ძლიერ—სუსტს. აგრეთვე ცხოვრება ფიქრობს სიკვდილზე; ხოლო მომაკვდავი მოელის საუკუნო ცხოვრების.

სული, რასაკვირველია განთავისუფლებული და  
გაწმენდოლი სხეულისაგან, რომელც მას აყენებდა  
ათასნაირ უბედურობას: სხვა და სხვა უგანსჯო  
მოთხოვნილების დაკმაყოფრლებრთ, კვალად მიეშუ-  
რება თავის გამჩენთან; იმკვიდრებს საუკუნო ცხო-  
ვრებას და სიკეთეს, რომელსაც ჩვენ, დიღის მოდ-  
გინებით, დავეძებთ დედამიწაზე. აქ უნდა გამოვარ-  
კვით, რომ სულის მე ახებით, კაცი ცნობს თავის-  
თავსა და მამავალ სასყიდელსა; მეორეთ ცნობს  
მატერიალურ ჭვეუანასა, ჭვრეტს ურიცხვ ხალხსა,  
მათი კანონს და საკუთრებასა. ცნობს ცას და  
ჭვეუანასა, განუსაზღვრელ მანძილსა და ჟამსა; ცნობს  
საუკუნო და შეუცვლელ წყობასა ბუნებრივ წოვ-  
ლინებისა და მათი მიზეზსა, ცნობს სრმართლესა და  
სიკეთესა, ცნობს განუსაზღვრელ არსებასა და წყა-  
რო ყოველი ცხოველისა, ე. ი. ღმერთსა, ყოვლის  
მყრობელსა.

აქედან ეხედავთ რა ჭკვიანურად და შოხერხე-  
ბულად არის შემკული კაცის გვამი თავის სულით  
და ხორცით, ისე რომ, ეს კაცის მანქანა თავის  
დროზე ყველაფერს ასრულებს. რამდენი ათასი  
წელიწადია, რომ მეცნიერნი ანატომები და პსიხო-  
ლოგები მუშაობენ, მავრამ ვერ შეატყვიათ ზოგი-  
ერთი ორგანოების მოქმედება. სულის მოქმედებაზე  
ხომ სულ გაოცებულნი არიან.

ახლა წარმოვიდგინოთ სულის ბუნებრივ მრავლი-  
ნებაზე. სული, როგორც ცსტქვით, მუდამ მიღრეკი-

ლია კეთილზე, სიმშვენიერებე — და სიმართლეზე. მის გამო ხმარულობს ყოველ ღონის ძიებას, მთელ სურვილ და ფიქრს. მაგრამ მშვენიერი სული ვერ დაკმაყოფილდება რომელიმე სიკეთით ამა ქვეყნისა. მისი სურვილი რის ყოვლად უმაღლესი და უმშვენიერესი, ე. ი. რომ განისვენოს და დატკბეს თანის გამჩენთან და დაიმკვიდროს: სამარადისო ნათელი, სიხარული და შეურყეველი მშვიდობა. სულმა რასაკვრცელია იცის, რომ გაჩენილ იქმნა გასცნობათ უმაღლესი არსებოსა; რომ მასთან შეერთებულიყო სიყვარულით და დაეცვა მისი კანონები თავესუფალის სურვილითა.

როგორც ვიცით, ღმერთისაგან კაცლამი მინიჭებულ კანონში შეცმულია ზნეობრივი მოქმედებანი, ე. ი. რომ კაცმა იმოქმედოს შედამ: სიმართლით და არა მატყუარობით, ცხადათ და არა ფარულდე და როგორც ბუნებრივი სჯულიც ამტკიცებს: „სხვას ზიანი არ მისცეს, როგორც თვითონ არ ისურკებს, რომ სხვისგან ზარალი მოუვიდეს“. ანუ, რა სიკეთესაც კაცი თავისთვინ ისურვებს, იმ სახითვე მოყვასისათვის უნდა იზრუნვოს. არ, ამ გვარია ეს ზნეობრივი კანონი, რომელიც სინდისს ავალებს და მუდამ შეურყეველად ჰგიებს. იმისთანა რამაა ეს საუკუნუ სჯული, რომ სუსველა მთავრობის კანონები მასზედ არიან დამყარებულნი. როგორც თვალები უმზერენ, რაც ჩვენ გარეშე ხდება; ისეც სინდისი ხედავს რაც ჩვენში წარმომ-

დონარეობს, ე. ი. სოლის სურვილის გადაწყვეტილება, სიხარული, შიში და შეწუხება.

ზნეობრევი კანონი, რომელიც აღმართილია ყველა კუცის განებაში, მუდამ გვილადებს, რომ მოვიქმედოთ სიკეთე — ე. ი. უძლურებს, და ლატა-კებს დავეხმაროთ, შეწუხებულნი დავემშვრდოთ, ყველას თაცდაბლობა უჩვენოთ, უგნურნი გავანათ-ლოთ და კარგი მაგალითები მივცეთ მათ. ამის გარდა, ყველაფერში ზომიერ ჰაზრს უნდა მივსდი-ოთ და ყურადღება არ მივაქციოთ იმაზე, რომ მოცემული გვაქვს უფლება და რაც გვინდა იმას ვიზავთ..

ის კაცი ბედნიერია, რომელსაც შეძლება აქვს, რომ სიბორტე ჩაიღინოს, მაგრამ თავს შეიკავებს და ბოროტის ნაცვლად კეთილს იქმს. პატიოსნობა, ანუ სიკეთე მაშინ ითვლება სათნოებათ როცა მარ-ტივია — ე. ი. წარმოშობილია თვინიერ რამე სარ-გებლობისა და მატყუარობისა. ი. ამ გვარი მოქ-მედებანი ძლიერ სათნო-საყოფელია და მოსაწონე.

მართლაც, კაცი იმისთვინ არის გაჩენილი უმა-ლლეს გონების თვისებით, რომ რამე სიკეთე ქმნას; თორემ სიბოროტე და სიავე ყოველ უზრეოს შეუ-ძლია. მართლა, რა პირუტყვის, მზგავსი და საზიზ-ლარი არსებაა ის კაცი, რომელიც მზარად დავის მოძვეს სამარე გაუთხაროს უკან, რომ ამით ივი-თან რამე სარგებლობა შეიმატოს!!!

ვისაც ყურადღება მიუქცევია თვის ცხოვრებაში კარგად შეამჩნევდა, რომ ქვეყანაზედაც: კეთილი საქმე წარმატებაში გიყავს კაცი; ხოლო უსამართლოებისათვის კი იტანჯება. მაშასადამე, როგორც წვიმა საჭიროამცენარეების ასაღორძინებლად; ან როგორც წამალს, სნეულობის დროს, გამკვეთი თვისება აქვს. ისეც კეთილი საქმე უსაჭიროესია უბედურობისაგან გაღასარჩენად. მართალია, ხანდისხან, ჩვენ თვითონ ვართ მიზეზი რამდენბედურებისა: დაუფიქრებლობით, რამე ინტერესის გამო. ან თავის ჩაგდებით განსაკუდელში.\* ) მაგთუ კაცს არ უნდა ავადმყოფობა, უნდა გაუფთხილეს გაცივებას; თუ ხალხი ერთმანეთს ეობება — უფრო ის მიზეზია, რომ მომეტებული ქონება შეიძინოს. ერთი სიტყვით, თუ კაცს კეთილი სინდისო აქვს და აგრეთვე დაფიქრებოთაც მოქმედობს: მარალის იქმნება მხიარული და ტკბილოთაც განისვენებს; ხოლო ბოროტი სინდისი: მუდამ შიშვია: და მოუსვენრობაშია; არადროს არ აქვს ჭეშმარიტი სიხარული და ვერც გრძნობს შინაგან მშვიდობას.

შეცნიერათ თვლება ის კაცი, რომელიც, ყველა საქმეში, რჩევას იღებს ზესთანგანათლებულ

\* ) როგორც თვეა ცეცხლს, რომ მიუასელთოთ, რასაცვირველია აინთება; აგრეთვე პაცი, როგორც გარევიზულობის განსაცდელში ჩაგდებს თავის-თვეს უფლეს შეულებელია, რომ არ შესცდოთს.

სინდისისაგან და მისდევს თავის ჭკუა-გასაჭრელ გონს. ამის წინამღლდებ, უნდა ვსთქვათ, რომ დიდი უგნურობაა ვინც სხვის ამყოლია უგანსჯოდ და ბრმა-ყმა-ისრალიდ ხთება სხვის აზროვნებისა და თავისას კი, უმიზეზოთ უარყოფს. აგრეთვე უნდა დაუმატოთ, რომ უგნურნი მუდამ მისდევენ თავიანთ ბოროტი გულის თქმას, კიდრე გონიერულ შოსაზრებას. აქედგან ვხედავთ, რომ კაცის სულს სხვა მიღრეკილება მისცემია, სხეულს კიდე სხვა. მართლა, რომ კაცის სული სხეულის მზგავნი რამ ყოფილიყო, მაშინ ჩისი მზრუნველობა, უქმედობა, იქმნებოდა მარტო თავის-თავის დასკმაყოფილებად და არა ნათესავების და მოყვასის შესაწევნად. არც მწვენიერი გაწყობილობა და დამოკიდებულობა ექმნებოდათ ხალხს ერთმანეთში; არც ძალიან ინალვლიდა კაცი გაუმჯობესობაზე საყოველთაო მდგომარეობისა; არც რაითერი ინტერესი იქმნებოდა, რომ კაცი უნალვლა სხვა და სხვა მცცნოურ საგნების მოგონებაზე რომ ახალ თავობისთვის ადვილო ცხოვრება მიენიჭებინა. მაგრამ სუკველა გონიერი კაცი დარწმუნებულია, რომ უთუოთ მიღებს ღვთისაგან სასყიდელს.

ამის გამოა, რომ კეთილი მორწმუნენი და სახელ გ. ნსაკუთრებით კათოლიკეთა ეკლესიები, აღჭურვილნი ამ მაღალი აზროვნებისა, მიღიარდებს ხარჯვენ: სეწყველის ხალხს დასახმარებლად, ახალ-

გონილების გასანათლებლათ და ქალიცვილების გასა-  
თხოვრად \*)

საქართველოში არც კი იციან, რომ ეპკლესია  
არის დედა ყველა დავრღობილთა და ყოველ უამს  
დახმარება უნდა გაუწიოს დაჩაგრულ შვილებს.  
მართლაც ღმერთს ჩვენგნივ კი არაფერი ეჭირება;  
მაგრამ მისთვის ს.სიამოვნოა, და სასკიდელსაც ში-  
ღებს ის კაცი, რომელიც დახმარებას უწევს მო-  
ყვას, ღვთის სახელით.

ახლა ჩამოვითვალოთ რანაირი დიდი განსხვა-  
ვებია კეთილ-სათნოებიან და უზნეო-გარყვნილ  
კაცთა შორის:

1) კეთილი კაცი წრფელად მოქმედობს, ბო-  
როტს ერიდება, საფრხეს არავის უდგამს და ყვე-  
ლასთვის კეთილ მსურველია. ხოლო ბოროტ კაცს  
მუდამ მიზნად აქვს თავის. მატერიალური ინტერე-  
სები, გარყვნილობაში ეფლება და სავსეა მატყუა-  
რობითა და ინტრიგებითა.

2) კეთილ-ზნეობრივი კაცი მუდამ ეწინაღმდე-  
გება გრძნობიერებას, უყვარს მორჩილობა ღვთიუ-  
რი კანონისა და სინდისით ცხოვრება. ხოლო უზ-  
ნეო—მუდამ მიყვება თავის გულის წაღილს, არ

\*) დარწმუნებული უნდა ვიუგუთ, რომ საქართვე-  
ლოში სრულიად მოისპობოდა პრესტიტუცია, თუ გადა-  
სიებს დახმარება გაეჩით, მზითევის მიცემით, ხელ-  
შოკლე ქალიშვილების გასახაფვრად.

უყვარს ვინმეს ბრძანების ქვეშ ყოფნა და არც  
ვინმესგან დაძლევა.

3) კეთილი კაცი გულმოწყალეა: რაც თვით  
აქვს, უნდა, რომ ის სხვებსაც გაუყოს; მკირეზედ  
კაყოფილია და სწამს, რომ გაცემა უფრო კარგია  
ვიღრე მრღვება. ხოლო ბოროტი კაცი ხარბია, უფრო  
იმას ცდილობს, რომ მიიღოს ვიღრე გასცეს;  
უყვარს საკუთრება და პროვენება.\*)

4) კეთილი— მიზიდულია ლვთის და სათნოე-  
ბისკენ; მას გლახაკი უფრო მიაჩნია ვიღრე მდიდარ-  
ნი და უმანკონი უფრო ეწყალება ვიღრე ძლიერნი.  
ხოლო ბორტი — მუდამ ეძიებს თავის სარგებლობას,  
მუქთად არაფერს გააკეთებს; ვისთვისაც სიკეთე  
უქმნია სამაგიეროდ ორეულ მოელის; ეფერება  
მძლავრებს და მდიდრებს ელაქუცება.

5) კეთილი— არარის ხალი ამბების მაძიებელი  
და მუდამ ერიდება ხალხში გამოჩენას და თავმომ-  
წონეობას. ხოლო ბოროტ კაცს ძალიან ესიამოვ-  
ნება შერტყოს სხვა და სხვა ჭორები; უნდა რომ  
ყველანი მას აქებდენ და ადიდებდენ.

\* ) ღმერთმა :დდლეგრძელოს ის პაცი, რომელიც  
სხვისგან მოცემულ სიკეთეს არ დაივიწებს. და ეცდება  
რამე ნაირათ მის გადახდას. ამის წინადამდებ უნდა  
გსთქვათ, რომ დიდი გაუზრდელობა და რიგის გარეთი  
უნამუსობაა რომელიც სხვის გადლეტს და გაშუცვას  
ცდილობს.

6) სათნოებას მუდამ მოსდევს: სიმშევიდე, სიმ-  
დაბლე, პატიოსნობა, სურგაფელობა, გულკეთილობა  
და მტკიცედ დარჩენა თავის გადაწყვეტილობაზე\*).  
ხოლო გარყვნილობას მოსდევს: შფოთის და გან-  
ხეთვილობის მოესველობა, ამპარტავნობა, თავჭარია-  
ნობა, უწყალობა და თასნაირათ შეცვლა თავის  
სიტყვისა.

7) პატიოსანი კაცის სული მუდამ აღშფოთ-  
დება და ძლიერ მოიწყენს რამე უკანონობისათ-  
ვის\*\*).

ხოლო რომელსაც გაქვავებული აქვს გული  
და ჩაფლულია გარყვნილობაში ყურადღებას არ-  
აქცევს თავის სულს და სინდის — რაღგანაც თავისი  
ბოროტი მიდრეკილება მიაჩნია უმთავრუს აღსა-  
რულად თავის არსებისა და მას თაყვანსა სკემს\*\*\*).

\* ) სისრულე სათნოებისა და ზნეობისა გამოიხა-  
ტება სულის გამარჯვებით ხორცზე. ანუ როგორ განსჯას  
უმორჩილებები ნებიერთ, უფერა გვარ სურვილს.

\*\*) სულის მფლინებანი — როგორც სისარული,  
მწუხარება სურვილი, ზიზღი, სირცხვილი და სტკა გამო-  
იხატება არამცოცუ მოქმედებით კაცის სხეულის ასოებისა;  
არამედ ხმის შეცვლით ც და შირისახის კანის დებით  
და გაევითლებით. ამის გამო, რომ ჩეუნ ხშირათ ვტეო-  
ბულობოთ სხვაბის სულის შდგომარეობას და ჰაზრებს.

\*\*\*) როგორც დორი, ტლაჩები, აშენეფლიონ, არა

ახლა გავიცნათ უზენაესი არსება:

ლმერთი არის დასაწყისი და დასასრული ყოველთა მყოფთასა; წყალობითა მისითა დაბადებულია ყოველი რაიმენი და იტარავს მათ; აგრეთვე ძალუბს მათი განქირვება უკეთუ ნებავდეს.

ლვთის თვისებანი შემდეგია:

1) იგი არის უმაღლესად მეცნიერი — ამას ამტკიცებენ მშვენიერი შემკულობა ცისა და ქვეყნისა.

2) არის ყოვლად ძლიერი — რაღანაც მართავს ურიცხვ პლანეტებს და დედამიწას.

3) არის თავისუფალი — ჩასაც მოისურვებს იმას იქმს.

4) ჭრის რიგის გარეთ გულკეთილი და კაცო მოყვარე.

5) არის ჭრარი მსჯული.

ლმერთი არის ძალა მიუწდომელი კაცის გონებისათვის, იგი ყოვლის შემომქმედია: მისგან სწარმოებენ სივრცენი სოფლისანი, კიდენი ცისანი, ზღვა და ხმელეთი, მზე და მთვარე. ერთი სიტყვით ყოველი ხილული და უხილავი. ლმერთმა, სრულმა არსმა, გააჩინა ოთხი უპირველესი ნივთი — ერება ესენი არიან: ცეცხლი, ჰაერი, წყალი და მიწა. კაცი ჰვარძნობს ამ შემომქმედებითი ძალას;

გრძნობს სიძურა: ლეს; ის; ც წვეულე: რიგი გადავნილი კაცი გურა გრძნობს სისაძგლეს თავის საქციულისა.

ჰეთავს ყოველ უამს როგორ აღმოსცენდების მა-  
წიდან ბალისი; ან როგორ გამოიჩიკების წიწილი  
კვერცხისაგან. მაგრამ ვერ შეუგნია, ვერ მისწლო-  
მია მისი გონება ამ შემომქმედებითი ძალას.

ამისთანა შემთხვევაში ყოველი ადამიანის წეი-  
ლი, თუ გინდ ქრისტიანი იყოს, თუ გინდ კერპ-  
თაყვანისმცემელი, მუდამ, აღიმაღლებს გონების  
თვალებს იმ ფრიად ერთ მიუწდომელი ძალისა-  
დმი, რომელსაც ჰქვია ძალა შემომქმედებითი ე. ი.  
დომერთი.

როგორც თვინერ სულისა, ანუ გონებისა,  
კაცის სხეული არაფრად გამოსადეგი არ იქმნებო-  
და; ისეც თვინერ ღვთისა ყოვლად შეუძლებელი  
იყო: დედამიწისაგან ნაყოფიერება, ტკბილი წყა-  
ლი, შეზავებული ჰაერი, ცეცხლი დაუშრეტელი  
და სხვა ჰკვიანური გაწყობილებანი და მოვლინე-  
ბანი ცისა და ქვეყნისა.

ღვთის არსებობა თავ და პირველად გამოხა-  
ტულია, როგორც ვნახეთ: სულის მოქმედებით და  
სხეულის ორგანოების მოწყობილობით; აგრეთვე  
მტკიცდება საყოველოთა სჯულითა, — რადგანაც  
მთელ დედამიწაზე, თუ გინდ ავრლოთ განათლე-  
ბული ხალხი, თუ გინდ ველური, თუ ურიები და  
თათრები, თუ გინდ ინდოეთის მხარისა. სუსალია  
მათვანს დარჩენია თავიანთ მამაპაპებისაგან, მტკი-  
ცელ ჩანერგილი გონებაში, შიში და მსხურება  
ღვთისა. თითოეული მათგანი, რასაკვირველია, თა-

ვისებურად სწირავს მას მსხვრეპლს.

აგრეთვე, ძველი დროიდანვე, მამაპაპური ჩვეულობით, ყველა დედები ცდილობენ, რომ თავიანთ კალთაში მჯდომარე შვილების გულში აუხოვდესთ ჩანარი. „რომ ღმერთი არის გამჩენი ცისა და ქვეყნისა, არის უფალი ყოველი რაიმეთა. ჩვენ ვართ ამ ქვეჩანაზედ, რომ ვსცნათ იგი, შევიყვაროთ, ვემსახუროთ და ამ საშვალებით მივრლოთ საუკუნო ბედნიერება“.

ნუ თუ, დედა მოატყუებს თავის შვილს?

შვილი დედრსათვის, რასაკვირვეველია, რის საგანი: მთელი ფიჭრისა, ჟრუნველობისა და სუვერულისა; რომელისთვინაც თავის სიცოცხლესაც არ დაზოგავს. მაგრამ, რადგან დედა არის უძლური და ვერ შეიძლებს შველის გაბედნიერებას, მას ასწევლის, რომ მიმართოს უზენაეს ძალას.

ეს ყველასთვინ ცხადია, სარწმუნოება გამოგონილი რომ ყოფილიყო, მაშინ აქნობამდი გაქრებოდა კვამლივით—რა უგანაც კაცობრიობა, დასაწყისიდანვე სოფლისა, თან და თან შედის განათლებაში.

---

მეორედ, ლვთის არსებობა მტკიცდება: როგორც კანონიერი წყობით ცისა და ქვეყნისა; ისეც ლამაზი და სიმეტრიული მოწყობილობით; კაცის სხეულისა, პირუტყვებისა, ფრინველებისა და მცენარეებისაც.

მაგ. ავილოთ ყურძენი ან ბროწეული, თუ გინდ ვარდი. რა მშვენიერ სილამაზეს წარმოაღვენენ? რა ნაირი მჭიდრო-სიმეტრიული წყობით და ყველანაირი ხელობით შემკული არიან \*). ავილო ახლა ფრინველთაგანი: ფარშავანგის კუდი შემკულია სხვა და სხვა ფერის ბუმბულებით და მარავოსავით გადაიშლება ხოლმე; სამოთხის ჩიტის და არაფერადის სილამაზე ხომ სულ გააშტერებს ჭაცუს; იხვი, ბატი, ვარხვი... ამათ თითებსა და თითებშე შეა გადაჭიმული აქვთ თხელი ტყავი და ჩინებულიად ცურვა იციან და სხვა. მაშასადამე, ყოვლად შეუძლებელი იყო, რომ ამ გვარი რაიმენი თავითვისით გაჩენილიყვნენ უცაბედათ. ბუნება მუდაშემორჩილება უზენაეს სურვილს. ქვეყანაზე არავი თარი მოვლენა არ ხოდა თავისთვისით, ვინც გააჩინა ელემენტი, რგვე მართავს მას.

მესამე დამტკაცება ლვოს არსებობაზე.

როცა ვხედავთ რომელიმე, ახალგამოგონილ მანქანას, რასაკვირველია აღვიძრებით ცნობის მოყვარეობით, რომ შევიტყოთ — რა მხარეს იყო გაკეთებული? ვის მიერ იყო გამოგონილი და რა მიზნისათვის?\*\*) უდიველია, სულელობა იქმნებოდა,

\*) შესანიშნავი კიდევ ისაა, რომ კაცია არა დროს არ ასხამს ხეხილების ძირში თავისა, მაგრამ მათი ნაუთები შევენიერ სტებლებას გამოსცემენ.

\*\*) ბოვშიც კი როცა პირველად უმზეოს რამე საგანს, მაშანვე კითხულობს რას მაქანისა?

რომ ვინმეს ეთქვა იმ გვარ მაშინას: არც გამომ-  
გონებელი ყავს, არც ამშენებელი და არც არა-  
ფერი მიზნისათვის არისო.

აგრეთვე უნდა ცსთქვათ, რონ სხვა და სხვა  
ნიშნებით შეიტყობისა დაფარული საგნები. მაგ.  
როცა კაცს მაჯა უცემს, ეს ნიშანის სიცოცხლისა;  
კვამლი არის ნიშანი ცეცხლისა; მშვენიერი თხუ-  
ზულებანი სიბრძნისა. მაშასაღამე, როცა უყურებთ  
დედამიწის სოციარ შემკულობას და გაჩენილების  
მოძრაობას. მაგ. ფრინველებს აქვთ შესხმული  
ფრთები, რომლითაც ჰაერში ფრინავენ; თევზებს  
სუყვილა მოწყობილობა აქვთ წყალში საცურავად.  
ერთი სიტყვით, პატია მცენარესაც კი აქვს რაიმე  
საიდუმლობრივი მეხანიზმა რომლის საშვალით —  
ამოდის დედამიწიდან, იზდება, გამოსცემს ნაყოფს  
რომელიმე მიზნისათვის და შემდეგში ხმება... ეს ერთ  
კარგად გვიმტკიცებენ, რომ საჭირო იყო უმაღ-  
ლესი მეცნიერება მათი გასაჩენად, რადგანაც ძლი-  
ერ ბევრად გადააჭარბებუნ კაცის გონებას და  
ხელობასაც.

ავრლოთ ახლა ცხოვრებაზე ამა ჭიელნისა! კაცი  
ცხოვრობს, მაგრამ არ არის მიზეზი თავის-თავის  
გაჩენისა; რამე საგანი ირსებობს, ხოლო თავის-თა-  
ვიდ არაა გაკეთებული. მაშასაღამე უნდა ყოფილ-  
იყო ჯერ ვინმე, რომ უპირველესი ცხოველები  
გაეჩინა და შემდეგ მდო წარმოეშობათ თავიანთი  
გვარისა.

მეოთხედ მტკიცდება ღვთის მყოფელობა ცნობით სრული არსება.

როცა კაცი შედის გასაცნობათ თავის თეხვისა, მაშინ უეჭველად შეამჩნევს: თავის ჯძლურობას, განსაზღრულობას და უსრულობას. მის შემდეგ დარწმუნდება, რომ მაინც ტა მაინც ბევრი არაფერი ცოდნია, ბევრ რამეებში ცდება. რადგანაც აკლია მას სინათლე განსჯისა; სავსეა ეჭვიანობითა და ადვილად ტყუუდება, რადგანაც მოწყვეტილია ჭეშმარიტებისაგან.

ყველა მოქმედებას მოსდევს პიპოტებიური მოწინაღმდეგობა. მაგ. მეცნიერულ — ლგნურობითი მოქმედება; სრულს — უსრულო, სიმართლეს — მატყუარობა, თავდაბლობას — ამპარტავნობა, სიკეთეს — სიბოროტე, კანონიერს — უკანონობა: და სხვა. მაშასადამე, კაცი თუ უსრულოა, უნდა იყოს ვინმე განუსაზღვრელად სრული; კაცს თუ აკლია მეცნიერება და ბევრ საქმეებში ცდება, ამის წინაღმდეგ არის, უეჭველია, ვინცალი ყოვლად ბრძენი და შეუცდომელი; კაცი თუ უკანონოთ და უსამართლოთ იქცევა — უნდა იყოს ვინმე მართლმსაჯილი. ამას კარგიდ გვიმოწმებს ჩვენ ზნეობრივი კანონი, (სინდისი) რომელიც აღმართება უველა კაცის გულში, თუ გონება დახული არ აქვთ გარყვნილობითა. მართლა, რომ ღმერთი არ არსებობდეს, მაშინ ამათ იქმნებოდა ზნეობრივი სჯულის დაცვა — რადგან გარყვნილობა, მუდ მ დარჩებოდა დაუსჯე-

ლად; ხოლო კეთილი სათნოება უსასყიდლოდ.

როგორც დავრწმუნდით, სუსკელი გაჩენილებს აქვთ თავიანთი აღსასრული და ფალდებულობა, მაგალითად: მზე სითბოს და სინათლეს იძლევა; ხეხილები თავიანთ ნაყოფი გამოსცემენ; ვარდები ყვავილებს ერთი სიტყვით უბრალო ბალახიც კი სწეულობის გამკურნავი (რამაა\*). მაშასადამე აღა- მიანიც უნდა გაჩენილი იყოს რამე აღსასრულობა- თვის და სულიც უკვდავი უნდა იყოს უთუოდ; თორემ კაცი, მართლა, გაჩენილი რომ იყოს უმიზ- ნოდ ე. ი. მარტი საჭმლისათვის და სიამოვნები- სათვის, მაშენ საჭირო არ იყო: კაცობრივი განს- ჯა, სრნდისო, შებრალება მოყვასისა და კაცი იქმ- ნებოდა. როგორც ერთი უმიზნო ცხოველი.

მეხუთე დამტკიცება მყოფობასაზედა ღვთისა.

როდესაც ვნახავთ ერთს საათსა, ანუ ერთს ხატსა, ანუ რომელიმე სახლსა. მით გულის ხმას უჰყობთ, რომ ყოფილი ერთი ოსტატი მესაათე, რომელსაც გაუკეთებოდეს საათი; ერთი მხატვარი, რომელსაც დაუხატია ეს ხატი და კალატოზი, რო- მელსაც აღუშენებია ეს სახლი—რედგან, თუ ამ

\*) აქ ისიც დაუმატოთ, რომ თვითი—მინერალი- წყლები, რომელიც ბუნებითადამოდიან დედამიწიდან გა- მკურნავის თვისება აქვთ ნაირ-საირი სწეულობისათვის,

ხელოვები მცოდნე ასტატნი არ ყოფილიყვნენ:  
არც საათი გაკეთდებოდა, არც ხატი ღაიხატებოდა  
და არც სახლი აშენდებოდა. ამავე ნაირად, რო-  
დესაც ვხედავთ ცასა, ქვეყანასა, მზესა, მთვარესა,  
ვარსკვლავებსა და ქსრედ საკვირველს მოწყობი-  
ლობას და დამოკიდებულებას ერთმანერთთან, ამით  
მაშინვე გულის ხმას ვჰყობთ, რომ მაშასადამე  
არის ერთი უზენაესი არსი, ე. ი. ღმერთი ყოვ-  
ლის შემძლებელი და ყოვლად ბრძენი, რომელსაც  
ესე რაიმენი გაუჩენია, გაუწყვია ესრედ საკვირვე-  
ლად და ინახავს მარ გაწყობილიდვე. რადგან თუ  
საათი, სახლი და სხვაც არ შეიძლებოდა რომ თა-  
ვის-თავად და უოსტატოდ გაკეთებულ იყვნენ,  
ამაზედ უფრო შეუძლებელია. რომ: ცა, ქვეყანა  
და რაიც ცაში და ქვეყანაზე არიან, ანგინიერ ღვთი-  
სა, თავის თავად ქმნილიყვნენ. ესეც ცხადია, რომ  
თავის-თავისათვის მყოფობის მიცემა არც ერთს სა-  
განს. არ შეუძლია — რადგანაც, ჯერ ვინმე უნდა  
იყვეს, რომ შეიძლოს ქნა რაიმისა. (ა. nihil. nihil)  
არაფერს — არაფრის გაჩენა შეუძლია. მაშასადამე  
სულელობა იქმნებოდა, რომ ვრნმეს ეთქვა: საათი  
და სახლი უოსტატოდ, თავის-თავად გაკეთებული  
არიან. უფრო მეტი სულელი და პირუტყვი იქ-  
ნებოდა ის კაცი, რომელიც უარს ჰყოფს მყოფო-  
ბასა ზედა ღვთისასა და იტყვის, რომ თავის-თავად  
იყვნენ ქმნილნი: ცა, ქვეყანა, ანუ ისინი რაიც  
ცაში და ქვეყანაზედ იპოვებიან.

როგორც ვიცით სუსკელა, ნივთიერი არსი განხრწნადია. მაგალითად: რკინას უანგი შესჭამს, ხე ფუტურდება, ხოლი ლპება, სამოსი ცვლება და სხვა. აგრეთვე რაოდნათაც მაგრათ გაკეთებულია კვითკირს შენობა, ანუ რკინის გზა, ანუ რომელიმე მაშინა, თუ არ ეყოლება მას პატრონი და შემნახველი, ჩქარა ირღვევა და ფუჭდება. მაშინადამე ქვეყანა და თუ სხვა მსგავსი პლანეტები და ვარსკვლავები, მათი მოძრაობანი და მიმართულობანი ერთმანეთთან, ქვეყნის გაჩენის აქეთ, მუდამისე მტკიცედ და შეუცვლელად ჰგიებენ, რომ ხუთი თასი წლის უწინ თითოეულს დღეს, მზე და მთვარე როგორც საათზე და მინუტზე ამოდიოდენ და ჩადიოდენ ხოლმე, დღესაც იმავე მინუტში ამოდიან და ჩადიან, ე. ი. არას დროს იოტის ადგნი ცვლილება არ მისცემიათ შათ და განუჩრნელად არსებობენ მუდამ \*). ქსენი ცხიდათ ამ ტკიცებენ, რომ არის ერთი ყოვლის მცყრობელი არსება და პატრონი ცისა და ქვეყნისა რომელსაც ვითარცა გაუჩენია არა რაისაგან და გაუწყვია ესენი, იმავენაირათვე ინახავს და ჰმართავს მუდამ.

\* ) აგრეთვე დადამიწაზედაც არავითარი შესხიშნავი ცვლილება არ მომხდარა, რადგანაც ეპგპტეჭების შენახული ჯევთ სამი თასი წლის შურის სარიალი, განავით, კაცის და შირუტუვების მუმიები..., რომელთაც არავითარი კანსხვავება არ აქვთ აწმუნსაგან.

თუ ამათ და თუ სხვა ყოველთა რაიშეთა. ამის-  
თვინაა ნათქვამი წმიდა წერილებზი: (Coeli enar-  
rant gloriam Dei) „უნი უთხრობენ დიდებასა ღვთი-  
სასა და საქმეთა ხელთა მისთასა მიუთხრობს სამ-  
ჭარო“.

აქედან ვხედავთ, რაც ღვთისაგან გაჩენილია  
იმართება და შის მფარველობის ქვეშ ჰგიებს, მუ-  
ლამ არის: ომალლესად მეცნიერული, საკვირველად  
შემკული, მაგარი ტა სამუდამო; ხოლო რაც კა-  
ცის ხელიდგან კეთდება: ყველა ცვალებადია,  
დროებითი და არაფრავ გამოსაღები. მაგრამ არიან  
ჩვენ შორის იმისთანა უსვინდისოები, რომელთაც  
არც რაცის გამოგონება შეუძლიად, არც არსებო-  
ბის გამოყენება და ამბობენ, ვითომიც ღმერთი არ  
არისო და ყველაფერი თავის-თავად წარმოსდგა  
ბუნებითადო. ეს ჯერეთ ეწინააღმდეგება მეცნიე-  
რების დამტკიცებას, რომელიც ამბობს: „ჩვენი  
დედამიწა პირველში ყოფილა ციცხლის, შარი და  
უემდეგში გამჭრალა და განახშირებულა შაშა-  
დამე. მასზე ყოვლად შეუძლებელი იქმნებოდა რაი-  
მე ორგანიული ცხოვრება. ამის შემდეგ სიბრუკვე  
არა, რომ ვინმემ თქვას — კაცი, პირუტყვი, მცენა-  
რეები და წყალი განახშირებულ დედამიწაზე თა-  
ვის-თავად გაჩნდნენო?!” \*)

\*) როგორც ძველი აღთქმა მოგვითხოოს, მზე,  
ვიწველში გაუინული, უძრ ვი შლანერა უოფილა. რო

ერთი ნივთი, რომელსაც სასარგებლო მიზანი აქვს, რასაკვირველია, გაკეთებული იქმნება ჭკუა-გონებით და არა უცაბედად. მაშასადამე მოვიგონოთ კაცის აგებულობა, რომელიც შემკულია უძრავლესი, მეხანიკური მოწყობილობით ყველა ორ განოებისა. მაგალითად: თვალიები, რაღან სუსტი თრგანოდ ითვლება, დაფარულია ჭუთუთებითა, რომ საჭიროების დაგვარ გააღოს და დახუჭოს; ზედ წამწამები აქვს შესხმული, რომ დაიცვან, თვალები: მტვერისაგან, კვამლისაგან და სხვა. ამის გარდა, ღობესავით აქვს გაკეთებული წარბები, რომელნიც იცვამენ თვალებს მავნებელ თფლისა-გან. გადავიდეთ ახლა ყურებზე, რომელნიც ითვი-სებენ ათასგვარ ხმებს და სიმღერებს, მაგრამ მაინც არ იმსება-კბილები წინ ალესილია მოსაჭრელათ; ძირში კი დასაფქვავათ და დასაღეჭათ. მოელი ყანყრატო და ცხვირის ნესტონები კაცისა მოფენი-ლია თმითა, რომ შეაკავოს პირში მიმავალი მიკ-რობები და ბიცილები, რომელნიც მილიონებით დაცურავენ ჰაერში. მოვიგონოთ აგრეთვე პაწია-ენა, რომელიც ხმოან კლაპანათ ემსახურება ლა-პარაკში დიდ ენას... ამის შემდეგ უნდა დაცეკო-ხოთ ამ გვარ ჭკუა საწყლებს: ვინ გააჩინა ეს ბუ-

დისაც დმერთმა ბრძანა: „იქმნას ნათელია“, მაშინ პლენეტმა დაწიუთ გაჩაღება და მისი სხივები მოეფინა მთელ ქვეუნიერობას.

ნება? და ვინ მისცა კაცს საშვალება ცხოვრებისა? საჭიროა ამისთან ებბა ხშირად შეხედონ უმაღლეს მცუნიურ მოწყობილობას ცისა და ქვეყნისა და დარწმუნდნენ, რომ ყოფილი ვინცალა მათზე უფრო მეცნიერი და ძლიერი.

---

ზოგიერთი პსიხოლოგი სულის არსებობას პირუტყვშიაც ფიქრობენ — რადგან ტყინს მიაწერა- მენ სულის თვისებას, ვითომცდა ატომ-მოლეკულე- ბის საშვალით ტვინში იბეჭდებოდეს ჰაზრები, ეს ჯერ ყოვლად შეუძლებელია, რადგან მაშინ რო- ვორდა იხატება: სინათლე, სიცხველე, ფერები, გემო, ხმა და სუნიცი? მეორეთ, როგორც მტკიც- დება, სუყველა სხეულის ნაწილები და ტვინიც დრო გამოშვებით იცვლებიან და განახლდებიან. ეს შემდეგიდანაც მტკიცდება: ერთს ახალგაზღა მტრედს, ფეხის ძვალზე, გარეშემო გაუკეთეს პა- წია ბეჭედი. ცოტა ხნის შემდეგ ეს ბეჭედი და- ფარულ იქმნა სრულიად ხორცით. ერთი-ორი თვის შემდეგ, იგივე ბეჭედი აღმოჩნდა ფეხის ძვლის ჩილში. მაშესადამე, ის მტრედის ფეხი, რომელსაც ბეჭედი ქონდა მოჭერილი, სრულიად გაპქრა და მის მაგიერ სხვა ფეხი გაჩნდა. ამის გამო უნდა დავრწმუნდეთ, რომ კაცის სუყველა ორგანოების მატერიები და ტვინიც მაკალე იცვლებიან. მარ- თალია, კაცის ტვინი ირყევა იმ დროს, როცა სუ-

ლი წარმოდგრნებს და ოღვეჭდილობას იქმნ, მაგრამ  
მით მას არ მიეწერება უმაღლესი თვისება; ხოლო  
კი ითვლება სულის შიგნეულ ორვანოთ, ოფორტ  
თვალები გარეგან ოღვეჭდილობისათვის \*).

არიან იმისანა ვაჟბატონებიც, ომელთაც  
გაუგიათ გისტოლოგიებისაგან ვითომე: *oavis coe-*  
*lula* ე *coelula*, მაგრამ კი არ დატიქტდებიან, ეს  
საწყლები, ომ მათ ქონდეს ერთი ვაგონი პრო-  
ტოპლაზმის კლეტკები ვერ შეკრიფავდენ არამც  
თუ კაცს, არამედ პატია პირუტყვსაც. კლეტკებს,  
რასაკვირველია, ჭკუა-გონება არ აქვთ, ომ ასე  
მოხერხებულად და მეცნიერულად მოეწყოთ კაცის  
მაშინა და იმავე დროს მიეცათ მისოვის სულიერი  
განსჯა.

ან პირუტყვებს ოფორტი აღუნიშნეს, ომ  
ერთ გვარს რქები ექმნებოდა. თავის დასაცვავათ?  
მეორეს უშველებელი კბილები, ვე შეპს ძლიერი  
კუდი და სხვა. ან მცენარეებს ოფორტ აღუნიშნეს,  
ომ ერთს ვაშლი უნდა მოესხა? მეორეს ბრეწეუ-  
ლი? მესამეს ყურძენი..., ომელნიც თავიანთი  
სიმეტრიული და საკვირველი შემკულობით გადაა-  
ჭარბებენ კაცის ხელობასაც, თუ გინდ წარმოვიდ-

\*.) სულის თრგანაებათ ითვლებიან: კაცის თავი,  
გული და მუცელი. თავი ითვლება თრგანათ განსჯისა;  
გული უმდევესი გრძნობებისა (სიხარული, მწუხარება და  
სხვა) ხოლო მუცელი ჩირუტეულ სიამოვნებისათვის.

გინოთ, ომ კლეტკებს ამისთანა თვისება აქვს. მერე ვრნ გააჩინა ეს პირველი, საძირკვლიანი კლეტკები? ვინ აასხა პირველი კაცის გვამი თუ გინდ თიხისაგან, თუ გინდ იმავე კლეტკებისაგან? რასა-კვირველია იმავე უზენაეს არსებამ. მისცა აგრეთვე კაცს სიცოცხლე და საჟვალები ჩამომავალობის გასამრავლებლად.

დარვინისტებს გაუჩხრევიათ მაიმუნის სკელეტი (ძვლები) და აღმოუჩენიათ სიმსგავსე კაცის, სკელეტთან. რის გამო, ამბობენ: „კაცი წარმოიშობა მაიმუნისაგან.“ ჯერ ეს ეწინაღმდეგება ბუნებრივ წყობილობას, რადგან სუსველაფერი გაჩენილია, ამ ქვეყანაზე, რამე მიზნისათვის. მეორედ უნდა ვსოჭვათ, რომ ანატომიური შენობა კაცის სკელეტისა სხვ ემსგავსება ლომისას, რომ ძვლები მუორესი, მხოლოდ წარმოადგენს გაღიღებულს კაცის ძვლებთან. მაშასადამე, უგნურობა არა კაცმა რომ სტკვას: ლომი წარმოიშობა კაცისაგან? მართლია, აფრიკაში სადაც ველური ცხოვრებაა, უპონენიათ ყრთ გვარი მაიმუნი, რომელიც გარეგანი შეხედულობით ცოტათი ემსგავსება კაცს, მაგრამ ამისთანებს: ნიკაპი სრულიად არ აქვთ; ლაპარაკის მაგიერ ჭყავიან კატასავით, გძელი კუდი და ფეხები ჭინკას მიუგავთ, სულის თვისებანი, ხომ სრულიად არ მოეძევებად,

ამ გვარი მაიმუნები დაღიან იშვიათია და ამის—

თანა (monstrum) ბუნების წინაღმდევობა უნდა მო-  
ვაწეროთ ისევ კაცის რიგის-გარეთი გარყვნილობას\*).

ზოგიერთიც თავს იხეთქავს, რომ რამე ნაირად  
შეიტყოს უმაღლესის არსებობის გაჩენაზე. ეს ჯერ  
ყოვლად შეუძლებელია — რადგანაც კაცის გონება  
განსაზღრულია ე. ი. მეცნიერებასაც აქვს თავის  
საზღვარი, რომლის იქნათ მისთვის გამოუცნობელი  
საიდუმლო რამაც. მაშასადამე ამისთანები ემსგავსე-  
ბიან იმ გვარ-მხეც-ნაუირ კაცს, რომელიც პირვე-  
ლად უმზერს რამე საუცხოვო მაშინას და კი არ  
ცდილობს მის გაცნობას და გარემოების შეტყო-  
ბას — თუ რა მიზნისათვის იყო გამოგონილი. ხოლო  
ძალიან კი აწლებს მას ცნობის მოყვარეობა, რომ  
შეიტყოს: ამ საუცხოვო მაშინის, გამომგონებლის  
მამა სად დაიბადა?

მაშასადამე, კაცს ჯერ არ გაუცნია კარგ-დ  
თავის თავი და მთელი ჭვეუნიერობა, და პირდაპირ  
ეხება უმცლეს არსებას.

შართლაც, ჭვეუნიერობაზე ბევრი საიდუმლო-  
ებია, რომ კაცის გონება ვერ მიმწვდირა. მაგალი-  
თად რა არის? ანუ რას ნიშნავს ჭექა-ჭუხვილი და  
მეხის ჩამოვარდნა??

\*.) ძველ აღთქმაში დგთის: გან შეჩვენებულია და  
დაწეულილია ის ტაცი, რომელიც პირუტყვთან საქმეს  
დაიჭირს.

რას უნდა მივაწეროთ, თუ არ ღვთის რის-  
ხების, საშინელი მიწის ძვრა?! რომლის გიზეზით  
ურიცხვი ქალაქები, უცაბედათ, ინგრევიან და ხალ-  
ხი ასი ათასობით იულიტება და თუ მათგანი ცო-  
ტაოდე გადარჩებიან სრულიად ლატაკიებიან\*).

ჯერ უბრალო სიზმარიც გაუგებარი რამაა კა-  
კისთვის. მაგალითად: კაცს სძინავს, ყველა ორგა-  
ნოები შეჩერებულია; მაგრამ კაცი ხედავს სიზმარ-  
ში საუცხოვო რამეებს, ხელს შეახებს და რომ გამო-  
ილვიძებს ყველაფერი აღბეჭდილი აქვს გონებაში.  
ამბობენ სიზმარი თბიერთივური აღბეჭდილობისა-  
გან ხდებათ. მაგრამ ბრძებს მიღდემში არ უნახავთ  
ქვეყნიერობა, ხოლო სიზმარში ნახულ რამეებს  
აშკარად მოგვითხრობენ. ან როგორ მოხდება ხოლ-  
მე Somnabulisma (მძინარის სეირნობა) მძინარე კაცი;  
თვალებ დახუჭული სდგება ხოლმე ლოგინიდგან:  
სწერს, კითხულობს, ადის სახლის სახურავზე მი-  
ლების საშვალით, და სეირნობს ძლიერ გაისაცდე-  
ლიანი ადგილებზე.

პანტეიზმები ამბობენ: „თვითან ბუნება ღმერ-  
თიათ.“ როგორც ყველა გონიერ კაცს სწამს — ღმერ-  
თი არის ერთი არსება და არა ყავს მსგავსი ვინმე-  
მეორედ იგივე ჰერიტებს ლკუნისამდე; მესამედ არის.

\* ) აქ უნდა მოვიგონოთ, ქველ აღთქმაში, ითხა  
წინასწარმეტებელი, რომელიც გაგზავნილი ცეც დგომისა-  
გან ნინებასი ქვეყანას. ქადაგებათ: „რათა ცოდვათაგან  
თვისთა შოქცეულნი შეინახებდენ და არა ირასხონ დგომი-  
საგან და ქადაგი მათი მათზედა რომ დაემხას“.

მარტივი არსება, შეუცვლელი და ყოვლის მპყრობელი.

გადავიდეთ ახლა ბუნებაზე და ავიღოთ ჩვენი დედამიწა, რომელიც არ არის ერთად-ერთი, რადგან მსგავსი პლანეტები ურიცხვნი არიან. მეორედ, არ ჰგიებს უკუნისამდე—რადგან განხრწნადია, მესამედ, არ არის მარტივი, რადგანაც, როგორც ქიმიკოზები ამტკიცებენ, სხვა და სხვა მაღნებისაგან შემდგარია \*). მეოთხედ, მუდამ შედგინებით იცვლება და მეხუთედ, არ იქვს უფლება, რომ თავის-თავად წარმოშობოს ნაყოფი, თუ დახმარებას არ გაუწევენ: მზე, წყიმა და ქარი. მაშასადამე ნუთუ უგუნლრობა არაა, რომ ვინმემ ქვეყანას ღმერთად უწოდოს?!

ზოგს ფული მიაჩნია უმთავრეს არსად და მას თაყვანსა სცემს. მავრამ კი არ ფიქრობენ: ვინიცობაა, პურის მოსაფალი რომ არ იჭმეს, ოქრო, უეჭველია საჭმელად არ გამოადგებათ. ჭკლა-გასაჭრელ ჰაზრით, ძვირფასი მეტალები ღვთისაგან, განგებ არიან გაჩენილნი კაცის სასარგებლოდ. რამოდენა ათასი წლობით შრომობენ კიმიკოზები, რომ რაიმე ხელოვნებით შეაზავონ: ოქრო, ვერცხლი თითბერი, მაგრამ ვერ შეიძლეს და ვერც

\*.) ქიმიკოზებმა გამოარკვიეს, რომ ყოველა ჰელიუმი შეიცვალება იმავე სამოცდა ათ ეჭვემენტის ტრებებს, რომლითაც შემკულია ჩვენი დედამიწა.

შეიძლებან — რადგან ამ გვარი შეტალები ბუნებითად ჩნდებიან დედამიწაში ერთგვარ ჰლემენტისაგან, ე. ი. არ არიან შედგენილნი სხვა და სხვა მაღნებისაგან.

ფულს, თავი-თვრისთ, დიდი პნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ სიადვილისათვის კაცის ცხოვრებისა უსაჭიროესია. წარმოვიდგინოთ, ერთი გლეხი კაცი, რომელსაც მოუტანია ქალაქში ერთი ურემი შეშა და მის მაგიერ სურვილი აქვს შეიძინოს: პური, შაქარი, წულები და სხვა. რამოდენა დროს დაკარვავს საწყალი კაცი და რა დიდ უეწუხებას და ურომას გასწევს: მანაძლი ერთ ურემ შეშას გასცვლის ზემოხსენებულ ნივთეპში?! მაშასადამე უნდა დავრწმუნდეთ, რომ ფული გამოსადეგია მარტო ცხოვრების ჩარხის სატრიალებლად და არა თაყვანისაცემლად.

სუყველა კაცის განსჯა ერთი გვარისაა, მაგრამ სხვა და სხვა სახით ხმარობენ მას

ბევრივ ჩვემ შორის წარჩინებულნი პირნი და მეცნიერნიც, რომელნიც კარგათ ცნობენ უმაღლეს არსებას მაგრამ მათთვის საჭარებლო არა ღვთის რწმენა და სინდისით ცხოვრება: რადგან მათი ზნეოუზა ძლიერ დაცემულია და ბოროტი გულის თქმას უფრო მისღევენ, ვიდრე სინდისის ჩაგონებას. ერთი შხრით ღვთის ბრძანება, მათ ნებას არ აძლევს: სხვის

წაგლეჯის და უსამართლოების, ჩადენას; მეორე  
მხრით ბოროტი მიღრეკილება, რომელიც ჩვეულო-  
ბის გამო, ბუნებად გადაჭრევით, თხოულობს სა-  
ხსარს. ესენი, რასაკურველია, აწმყო სიამოვნებისა-  
თვის მსხვერპლად სწირავენ შორეულ საუკუნო  
სიხარულს. ამის გამო უარს ყოფენ თავიანთ გამ-  
ჩენს და მიეშურებიან, უსამართლოების საშვალით,  
ფულის შეძენას, რომ დააკმაყოფილონ თავიანთი  
ბოროტი მიღრეკილებანი. აქ უნდა ვსთქვათ, რომ  
რა რიგის გარეთ უნამუსო და უმაღური უნდა იყვეს  
ის კაცი, რომელიც ღვთის საბრძანებელში ცხოვ-  
რებდეს, მის გაჩენილთა და ნაშრომთა შორის;  
მუდამ მის მფარველობის ჭვეშ ჰგიებდეს და მაინც  
არ იჩწმუნოს მისი წმიდა სახელი?! უმაღური კა-  
ცის მსაჯული ძალი იქმნება: რამეთუ, უკეთუ  
ერთი ძვალი გადაუგდოს მას კაცმა მაღრიელობას  
გიჩვენებს; ხოლო კაცი რომელიც ღვთისაგან  
იღებს ამოდენა სიკეთეს: როგორც სულიერს, ისეკი  
ხორციელს—მაინც უმაღურია და კიდევაც გმობს მას.  
ზოგიერთი მაწანწალები, რომელნიც თავიან-  
თი უგნურობით და ზარბაცობით გაღატაკებულია,  
როცა უმზერენ სხვების სიმღირეეს და პატიოსნო-  
ბას, შურით აღელვებულნი, გმობენ ღვთის წმიდა  
სახელსა, რომ გამოიწვიონ მისი რისხვა დასალუპა-  
ვად ჭვეულებისა. გმობა დიდ შეურაცყოფას აყენებს  
ღმერთს, აგრეთვე პატიოსანი კაცის სულსაც ძლი-  
ურ ააღელვებს; ძველ დოოში, ჩაქვავებდენ ხოლმე  
ღვთის. გმობელს...

ზოგსაც თავის მუცელი გაუხდია ღმერთად და  
მის დაკმაყოფილობას ცდილობს, სხვისი კი არ  
ენალენება რა. იმას კი არ ფიქრობენ ეს ვაჟბა-  
ტონები, რომ მუცელი განსჯას უნდა დაუმორჩი-  
ლონ და არ პირუტყულ ინსტიკტს. კაცი, თუ  
თავის მუცელს აღორებს—ლორია, და თუ აქრო-  
ლებს ქორია.

ზოგიერთი ტუტუცებიც ისევ ღმერთს აბრა-  
ლებს ადამის ცოდვას. ამბობენ: „ღმერთმა, რასა-  
კვირველია, იცოდაო, რომ კაცი უძლური იყო და  
აღვილად შესცოდამდათ. მაშასადამე, რისთვის ჩა-  
აგდო იგი განსაცდელშიო.“ მათ ავიწყდებათ, რომ  
კაცი ღვთის შვილად წოდებულია და არა მონად.  
მაშასადამე, დასაწყისიდანვე სოფლისა კაცისთვის მი-  
ცემულიყო სრული თავისუფლობა, რომ სურვილი-  
სიებრ თვისისა: ამოერჩია კეთილიდან უკეთესი  
მდგომარეობა. \*) ამის გარდა მისცა კაცს საშვაღე-  
ბი რომ წინაღუდეს ბოროტ-გულის თქმას. ეს  
მტკიცდება ლრმჭ გრძნობით, რადგან მაშინ რის-  
თვინ დაედებოდა კაცს ზნეობრივი კანონები? რა  
სარგებლობა ეკმნებოდა ჩაგონებას? რა გამოსადექი

\*) ღმერთს, რასაკეთი სურვილი ქონდა, რომ  
დამატებით დამოუკიდებლივ და რომ ეჭვა და დამატებით ხი-  
ლი. მაგრამ, ცოდნის ხათრით, დამატებით გადადგა და დამოუკი-  
დების და სხეული სულს რომ დაუმორჩილდა.

იყო: დაჯილდოება, მუქარი და სასჯელი, თუ კიც  
 არ ექმნებოდა სრული თავისუფლობა. მაგრამ ადა-  
 მის ცოდვა, ღვთის შეწევნით, შეეზღუდა ყოველი  
 ძალლონენი რაღან ამ მიზეზის ზამო, თვითონ უფ-  
 ლი, ჩვენი იესო ქრისტე განკაცდა და გვასწავლა  
 ჩვენ გზა ცხოვრებისა. ქრისტეს დაბადებამდე, ბევ-  
 რი ბრძენი და ფილოსოფოსნი ცდილობდენ მშვი-  
 დობის დამყარებას გვეყანაზედ, მაგრამ ვერ შეი-  
 ძლეს — რდგან მათი მეცნიერება მოკლებულ იყო  
 ღვთავებრივ ძალას. ხოლო ქრისტეს სახარებამ:  
 აღანთო ლამპარი მშვიდობისა, დასთესა. ჩვენში სი-  
 ყვარული, გულისტანჯვა და შებრძლება მოყვასისა.  
 მის წინად ევროპაში, ბატონყმობის დროს, ძლიე-  
 რი გრძელება სუფევდა: რაღგანც მამაპაპების  
 საზიზლარი გარყვნილობა მათ ჩამომავალთ; თითქოს  
 ბუნებათ გადაეჭათ და როგორც სუნთქვა საჭი-  
 როა კაცისათვის ისეც ბოროტზე მიღრეკილება  
 გახდენოდათ უსაჭიროსსი. მოთხოვნილებად ამის  
 გამო, ძლიერნი მუდამ ჩაგვრინდენ უძლურებს;  
 ყიდდენ აღამიანებს; ბატონები ულმობელად ეპ-  
 ყრობოდენ თავიანთ ყმებს და ურემშიც აბამდენ  
 მიწის სახნავად, უწყალო ცემით და ტყეპით. ერთი  
 სიტყვით, სუსველა ბარბარისობას და უსამართლო-  
 ბას ჩადიოდენ — რომ რამე სარგებლობა შეეძინათ  
 თავიანთ ყმებისაგან. ეხლა კი, როგორც ვხედავთ,  
 ყველა პატიოსანი კაცი ცდილობს; უძლურების  
 დახმარებას, მოყვასის განათლებას. ერთი სიტყვით

მისდევს სათნოებას, რომლითაც გამოიხატება სი-  
ყვარული ღვთისა და მოყვასისა. აგრეთვე აწარმო-  
ებს თავის საქმეებს საკუთარი შრომით.

სახარების სიტყვებია: „კაცალ-კაცალმა იტვირ-  
თოს თვისი ტვირთი.“ ეს იმას ნიშნავს, რომ სუ-  
ყველა კაცმა უნდა იშრომოს. ესეც უნდა ვიცო-  
დეთ, რომ შრომას სულიერი და ხორციელი სიმ-  
დიდორე მოსდევს; ხოლო სიმდიდრეს: სწავლა-განა-  
თლება და წარმატება ამა ქვეყნისა.

---

ზოგი ჭკუით საწყალი ფიქრობს: „ლმერთი ვერ  
შეძლებსო, რომ განკითხვის დღეს, გაარჩიოს თი-  
თოული კაცის ცხოვრებათ – რადგან დასაბამიდნ  
ქვეყნისა რამდენიმე ასი მილიარდი მომკვდარანთ.“  
ამისთანებს ჩვენ უნდა უთხრათ, რომ ლმერთი ყოვ-  
ლის შემძლებელი და მეცნიერია, მას ყოველი აწ-  
მყოდ აქვს, მაშასადამე, არამკ თუ შეუძლია ანგა-  
რიში მოითხოვოს თითოულისაგან, არამედ მოჩი-  
ვარსაც დაისწრებს – რადგანაც ყველა კაცს აქვს  
თავის უმანკო, მარტივი სული, რომელიც მიღდემ-  
ში არ ტყუის და პირველი დამბეჭდებელი ის იქ-  
მნება.

შესანიშნავი მართლა, კიდევ ისაა, რომ დედა-  
მიწაზე ჯაას-ხუთასი მილიონი ადამიანი ცხოვრობს  
და თითოულ მათგანი განირჩევიან პირისახით ერთ-  
მანეთისაგან და პრემისგან მაგრა როგორც

ცხვრები ერთი-მეორეს. ეს იმას მოასწავებს, რომ  
თითოულს ჩვენგანს დაადგება, განკითხვის დღეს  
გასამართლება.

ერთი რუსის მწერალი, რომელიც შეჩვენებუ-  
ლი იყო ეპკლესიისაგან და საზღვარ გარედ გადევ-  
ნილი. ძლიერ აღელვებული რუსის სამღვდელოე-  
ბაზე და მათი ჯინის ამოსაყრელად მაჰმადის მომ-  
ხრე გამხდარა. ამის გამო, თავის ბრაზიანობით,  
დაუწყვია ბროშურების გამოცემა, რომლითაც  
უარს ყოფს იქსო ქრისტეს ღვთაებრივ ბუნებას...  
იქსო ქრისტე, რასაკვირველია, სრული ღმერთი  
და სრული კაცი იყო \* ეს თავ-და-პირველად, თა-  
ვიანთ საკუთარის სისხლით, დაამოწმეს მის თორ-  
მეტმა მოციქულმა; აგრეთვე მთელი დედამიწა და  
განსაკუთრებით რომი (იტალიის ქვეყანა) მორწყუ-  
ლიყო წამებულების სისხლით, რომელთა შორის,  
მომეტებული ნაწილი ურიობა შეადგენდა. რო-  
გორც ვიცით, პირველ საუკუნოებში მთელი ური-  
ობა ორ ნაწილად განიყო: ერთი მცირე ნაწილი,  
რომელთაც გონება დახშული ქონდათ მატერია-  
ლური ინტერესებით, კეისარს მიემხრენ; ხოლო  
დანარჩენნი—იქსო ქრისტეს მოძღვრებას. ახლა  
სიმაგრითო ისაა, რომ მთელი გაქრისტიანებული  
ურიობა სულერთიან გაწყდა, მხოლოდ იმ მიხეზი-  
სათვის, რომ მოწმობდა იქსოს ღვთაებრივ ბუნებას.

მაშასადამე უნდა დავეკითხოთ ამ რესის მწერალს — რა ინტერესი იყო? ან რამ დაახარბა? ამოდენა ურიცხვი ურიობა, რომ თავი შეეწირათ იესოს სახელისათვის, გარდა იმისა, თუ დარწმუნებულნი არ ყოფილიყვნენ, რომ ამ გვარ საშვალით მათ მოელოს სასყიდელი საუკუნო ბედნიერებისა?!) \*)

მეორედ, მტკიცდება იესოს ღვთავებრივი ჰუნება მის ურიცხვი სასწაულ მოქმედებით: მკვდრების აღდგენა, ერთი შეხებით ბრძებისთვინ თვალების ახილვა, პარალიტიკების განკურნვა. ქარს და ზღვას უბრძანებდა ხოლმე რომ დასცხრენ; ზღვაზე ფეხით დაიარებოდა და სხვა. მესამედ სუყველა ქრისტიანები ინათლებიან: სახელითა მამისათა, დაძისათა და სულისა წმიდისათანა. მაშასადამე ეს ყოფილი მეორე პირი წმიდა საჩებისა- როგორც ვიცით, ღმერთი ერთია და სამრ გვამი აქვს. ეს რომ შესძლოა მტკიცდება შემდეგიმაგალითებრთაც.

---

თუმცა კი ღვთიური არსება, არ შეიძლება სისრულით გამოცხადდენ დაბადებულთა და ნივთიერი მაგალითებით, მაგრამ წარმოვიდგინოთ ერთი ტბა, რომელიც წინ წარმოვა და შესდგუბა ერთი მდინარისაგან. და მდინარეც იგი წინ წარმოვალს

\*) მთხესენებულ მწერალშა თვისი არაფერდ სთქვა, არამედ სხვის ნაშთის რესებს გადასცა მთხისნელებად.

ერთისა წყაროსაგან, რომელნიც სამნივეცა ერთი  
და იგივე წყალია. ამავე ნაირად, ვითარცა წყარო  
წარმოშობამს მდინარესა, აგრეთვე საუკუნო მამა  
წინ წარმოადგენს ძესა თვისსა; და ვითარცა წყა-  
რო და მდინარე წარმოშობამენ ერთსა ტბასა, ამ-  
ნაირათვე მამა და ძე წინ წარმოადგენენ, სულსა  
წმიდასა. არამედ მამა, ძე და სული წმიდა სამნი  
ლმერთი კი არ არიან, არამედ მხოლოდ ერთი  
ლმერთი და სამი გვამი, რაღაც სამთავე გვამთა;  
აქვსთ ერთი და იგივე არსება და ერთი და იგივე  
ლვთავება. ავილოთ მეორე მაგალითი: მზე არის  
მშობელი ნათლის სხივისა, სხივი იშობება მზისა-  
გან; მზისა და სხივისაგანაც გამოდის სიცხე. თუმც  
კი ეს სამნი რაიმენი იპოვებიან მზეში, მაგრამ  
მაინც ერთია მზე და არა სამი.

ავილოთ მესამე მაგალითი. ჩვენ გვაქვს ერთი  
სული, რომელშიაც ვხედავთ საძს სხვა და სხვა  
ძალასა: გონებასა, ფიქრსა და სიყვარულსა. გო-  
ნება შობს ფიქრსა — ეს არის ხატი მამა ლმერთისა.  
და ძისა, სიყვარული წარმოდგომილი გონებისა და  
ფიქრისაგან — ეს არის ხატი სული წმიდისა.

აქ უნდა ვსთქვათ, რომ ყოველივე ესე მსგავსე-  
ბანი და შედარებანი არიან სუსტნი და არა საკმაონი,  
იგი მხოლოდ გვაძლევს ჩვენ რომელსამე სუსტსა  
და უძლურს გულის ხმის ყოფასა და მცნებასა ყოვ-  
ლად წმიდისა სამებისა. რომელც, რაღაც არის  
ყოვლად დიდი სიღურელი და ჩვენი გონება გან-

საზღრულია, ამის გამო არ შეგვიძლია სისრულით  
შეტყობი მისი. მხოლოდ უნდა ვირწმუნოთ კი  
რადგან თვით ღმერთს გამოუცხადებია ესე, რომე-  
ლიც არც მოატყუებს და არც მოსტყუვდების.

დასასრულში უნდა კაჩევდ განვიზრახოდ მაშ,  
რა ყოფილა კაცი შედარებით ცისა და ქვეყნისა?  
რა მოკლე ხანია მისი ცხოვრება, და რამოდენა  
ურიცხვი საუკუნოები უცდის მას მომავალში... ან  
რა არის ამ ქვეყნის: სიმღიღე, ბრწყინვალება და  
პირუტყული სიამოვნება, თუ არ ამაოება-ამაოებათა?

ნუ თუ, კაცი ეხლაც არ დარწმუნდება, რომ  
ყოფილა ერთი ჭიანჭველა უძლური და საწყალი  
შედარებით ღვთისა ყოვლის მჰერობელისა?! \*)

ჰოი—კაცო! იცან თავი შენი და შენი ღირსება..

Gloria in excelsis Deo!

1909 წ. თვეილისი.

---

\*) მათთვა კაცს ერთობ აშაუათ შრაქეს თავი, ხდ-  
დო ერთი ზღვის დანახვაც დარწმუნებს მას, რომ შემ-  
ცდათ ამ ზღვი, როგორც სპილო ერთი ფეხის გან-  
ძრებით ათას ჭიანჭველას გასრუსს; ისეც ზღვა ერთის  
აღეღვევდით, ერთის დანძლევით ათას კაცს შოთაქეს და  
ათი ათასის ნაშრომს კაშხადგურებს.

12

3 631